სცოვრებას მიზნად სიმართლე გვენდეს
და სიყვარული მოყმეთა ვალად'

# ალიონი

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

23-29 ივნისი 2000 წ.
№ 4-[illegible]
(9393)

ფასი 30 თეთრი

ოზურგეთის რაიონული გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა და შესრულება, რეზერვების მაქსიმალურად ამოქმედება – *უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ამოცანა, ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უპირველესი პირობა, პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საფუძველია*

ოზურგეთის რაიონული გამგეობის სხდომა

### მწვავე მსჯელობის ნიშნით

რაიონის გამგეობას სხდომის დღის წესრიგის მიხედვით ორი აქტუალური, სადღეისოდ უმნიშვნელოვანესი საკითხი უნდა განეხილა: „ოზურგეთის რაიონში 2000 წლის ხუთ თვეში ბიუჯეტის შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ“ და იმავე პერიოდში „კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცების, დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანთა უფლებების დაცვის მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ“. მაგრამ პირველ საკითხზე მსჯელობა, შექმნილი უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესაბამისად, იმდენად ვრცლად, მწვავედ და პრინციპულად, ყოვლისმომცველი, მიზანმიმართული კრიტიკის ნიშნით წარიმართა, რომ მეორე საკითხი - მართლწესრიგის განმტკიცებასთან დაკავშირებით რაიონული პოლიციისა და პროკურატურის ანგარიშების მოსმენა – გამგეობის შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

ბიუჯეტის საკითხზე მომხსენებელი, რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე ამირან გირკელიძე, პრეზიდენტის რწმუნებული გურიის მხარეში კარლო გუჯაბიძე, რაიონის გამგებელი ავთანდილ ღელეყვა, ინფორმაციებით გამოსულები და კამათში მონაწილეები საგადასახადო ინსპექციის უფროსი მიხეილ მიქატაძე, რაიფინგანის გამგე დიანა ჭანუყვაძე, რაიონის პოლიციის უფროსი ეროდი გორდელაძე, სოფლის მეურნეობისა და სურსათის რაიონული სამმართველოს უფროსი ნოდარ ტაკიძე, მიწის მართვის რაიონული სამმართველოს უფროსი თემურ ჩხარტიშვილი, სახელმწიფო ქონების მართვის რაიონული სამმართველოს უფროსი დავით სიხარულიძე, სამხარეო ეკონომიკური სამსახურის უფროსი ირინა ინარიძე, რაიონის მთავარი ექიმი დავით ჩანტლაძე და სხვები, ფაქტობრივად, ყველა არსებით პრობლემას შეეხნენ, დაასახელეს ჩამორჩენის გამომწვევი არაერთი სუბიექტური მიზეზი, უგულისყურობა, მოუქნელი მუშაობის კონკრეტული მაგალითები, წამოაყენეს ბიუჯეტის შესრულების საქმეში შექმნილი მძიმე ვითარების გაუმჯობესებისათვის საგულისხმო წინადადებები.

აღინიშნა, რომ ჩამორჩენას არავითარი გამართლება არა აქვს, გამოუყენებელია არსებული რეალური შესაძლებლობები, მრავალი შესანიშნავი რეზერვი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამხდელი ორგანიზაციებისა და ობიექტებიდან ე.წ. ნარჩენების, დავალიანებების ამოღებას; კვლავაც დასაზუსტებელია, დიდია არარეგისტრირებული ობიექტების რაოდენობა; მოუწესრიგებელია მიწის გადასახადების ამოღება, რის არაერთი გამოუყენებელი გზა არსებობს. — არ იხდიან პრივატიზებული და იჯარით აღებული მიწების ფულს. გამგეობის წინა სხდომაზეც ითქვა, რომ ასეთი „გადამხდელების“ უფლებები მიწაზე უნდა გაუქმდეს. ამ მიმართებით სოფლის მეურნეობის სამმართველოს, საკრებულოებს, სოფლების გამგებლებს მეტი მოქნილი მუშაობა, მომთხოვნელობის ამაღლება მართებთ, — ვინც მიწის საიჯარო თანხას არ იხდის (ბევრგან ამ მხრივ ლარიც არ არის შემოსული!), ასეთი მიწები ყოფილ მეპატრონეებს უნდა დაუბრუნდეთ და შემდეგ აუქციონით გაიყიდოს. საკრებულოები მოსახლეობას აძლევენ ცნობებს ციტრუსების, თხილის, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანისათვის, შემდეგ კი ამ შემოსავლიდან მიწის გადასახადს არავის არ თხოვენ; ერთგვარად წესრიგდება ჯართის გატანა-ჩაბარებაზე კონტროლი, მაგრამ ეს საკითხიც კიდევ სრულყოფას საჭიროებს. მეტად მნიშვნელოვანი და დასაჩქარებელია საპრივატიზაციო ობიექტების — შენობა-ნაგებობების (მათ სრულიად განადგურებამდე) აღრიცხვა და პრივატიზება. ასეთთა რიცხვი საკმაოდ ბევრია. ქონების მართვის სამმართველომ და ობიექტების ყოფილმა მფლობელებმა ერთობლივად და უფრო ოპერატიულად უნდა იმოქმედონ; დასახელდა კონკრეტული ფაქტები (მაგალითად, უნდა გაიყიდოს რაიკოოპკავშირის ობიექტები და ამ ორგანიზაციამ ბიუჯეტის ვალები გაისტუმროს) და ა.შ.

საგადასახადო ინსპექციამ გადაჭრით უნდა გარდაქმნას მუშაობა, რისთვისაც აუცილებელი გახდა კატეგორიული, პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება, - საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს მისი კადრები, განთავისუფლდნენ ის მუშაკები, ვისაც არ შეუძლია მუშაობა, ან უპასუხისმგებლოდ ეკიდება და, მეტიც, ვინც, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობას. საგადასახადო ინსპექციამ უნდა გააძლიეროს კონტაქტები პოლიციასთან, ფინგანთან, ქონების მართვის ა და მიწის მართვის სამმართველოებთან, სხვა შესაბამის სამსახურებთან, ერთობლივად იმუშაოს მათთან.

სხდომაზე ითქვა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო, რომ მთელი სიმკაცრით მოვთხოვოთ პასუხი იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც საბიუჯეტო დავალებებს ვერ ასრულებენ.

გამგეობამ განხილულ საკითხთან დაკავშირებით დასახა ქმედითი ღონისძიებები. დადგენილება ამავე გვერდზე ქვემოთ ქვეყნდება.

**თამაზ სალუქვაძე.**

### საგადასახადო ინსპექციის მუშაობის გარდაქმნის მიზნით

გაწეული მუშაობით მიღწეული ერთგვარი შედეგების მიუხედავად, რაიონმა თავი ვერ გაართვა საბიუჯეტო კრიზისს. კვლავ სერიოზული სიძნელეებია განათლების, ჯანდაცვისა და სხვა საბიუჯეტო სფეროების დაფინანსებაში, რაც რაიონის ბიუჯეტის გეგმების ქრონიკული შეუსრულებლობითაა გამოწვეული — განაცხადა რაიონის გამგეობის პირველმა მოადგილემ ამირან გირკელიძემ გამგეობის სხდომაზე, სადაც 2000 წლის 5 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შერულების შედეგები განიხილეს და შეაფასეს.

გურიის მხარის რწმუნებულმა კარლო გუჯაბიძემ არადამაკმაოფილებლად შეაფასა რაიონის საგადასახადო ინსპექციის მუშაობა განვლილ პერიოდში. მისი წინადადებით, რაიონის გამგებელმა ავთანდილ ღელეყვამ მკაცრი მითითება მისცა საგადასახადო ინსპექციის უფროსს მიხეილ მიქატაძეს ინსპექციის იმ მუშაკთა დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ, რომელთა მოუქნელი მუშაობის მიზეზით არ სრულდება საბიუჯეტო შემოსავლების სრული მობილიზაციის დავალებები.

საგადასახადო სისტემაში წესრიგისა და კონტროლის დამყარებას ითვალისწინებს რაიონის გამგებლის განკარგულება ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯვით ნაწილზე გამგებლის მოადგილეებს შორის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გამიჯვნა-დაკონკრეტების თაობაზე.

კერძოდ, რაიონის გამგებლის პირველ მოადგილეს ამირან გირკელიძეს დაევალა ინდიკატორული გეგმის შედგენა, რაიონის საბიუჯეტო სისტემაში შემავალი ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირება, ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების ხარჯვის რეგულირება.

გამგებლის მოადგილეს გია მამაკაიშვილს დაევალა საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების, არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების შემოსავლების სრულყოფილად ამოღების ორგანიზაცია.

ბატონ ავთანდილ ღელეყვას განცხადებით ეს ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ ერთი პირის ხელში არ მოხდეს რთული და შრომატევადი სამუშაოს — ბიუჯეტთან დაკავშირებული პროცესების თავმოყრა და კონტროლი.

**რაიონული გამგეობის პრესსამსახური.**

ოზურგეთის რაიონული საკრებულოს სხდომა

### აქაც მთავარი თემა – ბიუჯეტის განხილვა

ხანამ რაიონული საკრებულო დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა-დამტკიცებას შეუდგებოდა, რაიონის გამგებლის მოადგილემ სოციალურ დარგში ვასილ ჩიგოგიძემ გააკეთა განცხადება, რომ საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობის 2000 წლის 2 მარტის წერილით შეჩერდა გასული წლების საპენსიო თანხების გაცემა, ხოლო ამავე წლის 27 აპრილის წერილით ასევე შეჩერდა გარდაცვლილ პენსიონერთა წინა წლების საპენსიო თანხების მემკვიდრეებზე გაცემა.

მწვავე სოციალური ფონიდან გამომდინარე, რაიონის გამგეობამ მიმართა საკრებულოს, რათა ერთობლივი ღონისძიება მიიღონ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების ერთგვარი რეგულირებისათვის.

საკრებულომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება: „წინადადება მიეცეს სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდის ოზურგეთის რაიონულ განყოფილებას (ა. თავბერიძე) ფონდში ჩარიცხული ადგილობრივი შემოსავლებიდან გასცეს თანხები გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახების წევრებზე წინა წლების საპენსიო დავალიანებების დასაფარავად და ამის თაობაზე პერიოდულად მოახსენოს რაიონის საკრებულოს“.

ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებისათვის დამატებით ღონისძიებათა პროექტი წარმოადგინა რაიონის გამგებლის პირველმა მოადგილემ ამირან გირკელიძემ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს რაიმე მნიშვნელოვანი შენიშვნები არ გამოუთქვამს და წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცეს.

ბატონმა ა. გირკელიძემ დეპუტატებს განსახილველად წარმოუდგინა აგრეთვე ოზურგეთის რაიონის 2000 წლის ბიუჯეტის პროექტი.

თანამომხსენებლები გააკეთეს საგადასახადო ინსპექციის უფროსმა მიხეილ მიქატაძემ და საფინანსო განყოფილების გამგემ დიანა ჭანუყვაძემ.

წარმოდგენილი პროექტი დეპუტატებმა განიხილეს ცალკეული დარგების მიხედვით, საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილში. დეპუტატების შეკითხვებს გაეცა პასუხები. შესწორებებით შესწორებებით ბიუჯეტი დაამტკიცეს.

**ნინო სალუქვაძე.**

### ოზურგეთის რაიონის გამგეობის დადგენილება
### რაიონის 2000 წლის 5 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ

ოზურგეთის რაიონის გამგეობა, რომელმაც მოისმინა გამგებლის პირველი მოადგილის ბატონ ამირან გირკელიძის მოხსენება „ოზურგეთის რაიონის 2000 წლის 5 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“, აღნიშნავს, რომ გაწეული მუშაობისა და მიღწეული შედეგების მიუხედავად, რაიონმა თავი ვერ გაართვა საბიუჯეტო კრიზისს, კვლავ სერიოზული სიძნელეებია განათლების, ჯანდაცვისა და სხვა საბიუჯეტო სფეროების დაფინანსებაში, რაც რაიონის ბიუჯეტის გეგმების ქრონიკული შეუსრულებლობითაა გამოწვეული.

რაიონის 5 თვის საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო 820,9 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსავლებმა საფინანსო განყოფილების მონაცემებით 598,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიურის მხოლოდ 67,2 პროცენტია, გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 75,2%.

2000 წლის 5 თვის საბიუჯეტო შემოსავლების შესრულების ფონზე შესაბამისი მდგომარეობაა ხარჯების შესრულების მხრივაც, დაბებით მოვლენად შეიძლება მხოლოდ ხარჯების არაპროპორციულად განაწილების მცდელობა ჩაითვალოს.

გამგეობა საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ შესაბამისი სამსახურები საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების საქმეში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ისეთი მნიშვნელოვანი რეზერვის გამოყენებას, როგორიცაა „საბიუჯეტო ნარჩენების“ შემცირება; იგი, სამწუხაროდ, შემცირების ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2000 წლის 1 ივნისამდე 322,0 ათასი ლარით გაიზარდა.

საგადასახადო ინსპექცია, მისი შემადგენლობა, რომელიც მიეჩვია პირველი ხელმძღვანელის სისტემატურ ცვლას, ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენს ურჩ გადამხდელებზე, როგორებიც არიან ფირმა „მარტინ ბაუერის“ ჩაის ფაბრიკები, ლაითურის, ნარუჯის, ნასაკირალის ჩაის კომბინატები, მანქანათმშენებელი ქარხანა, შპს ფირმა „ეტალონი“, შპს ფირმა „აზოტი“, ფირმა „ივერია“, ეთერზეთების კომბინატი და სხვები, რომელთა მიმართ ჯერჯერობით არ გამოყენებულა კანონით გათვალისწინებული უფლება გადასახადების იძულებით ამოღების შესახებ, ასევე არაეფექტურად გამოიყენება ისეთი უმნიშვნელოვანესი რეზერვი, როგორიცაა მიწის გადასახადი, უფრო მეტიც, რაიონში იჯარით გაცემული 3303 ჰექტარი სავარგულიდან 2200 დაკავებულია მრავალწლიანი ნარგავებით (ჩაი, ციტრუსები და სხვა), რომლებზედაც საიჯარო ქირა განსაზღვრულია ჰექტარზე 20,5 ლარის ოდენობით, ანუ იმ ტარიფით, როგორც ჩვეულებრივ სახნავზე, საგადასახადო ინსპექციას, მიწის მართვის სამსახურს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს კი, არაერთი მითითების მიუხედავად, დღემდე არაფერი გაუკეთებიათ აღნიშნული ქონების შეფასების, გადასახადის გაწერის მეთოდიკის შემუშავებისა და ამ სფეროდან შემოსავლების გაზრდისათვის.

ბიუჯეტის შესრულების საქმეში სრულიად არასაკმარისად იკვეთება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს, მიწის მართვის პრივატიზაციისა და სხვა სამსახურების საქმიანობა. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მთელი სიმძიმე მხოლოდ საგადასახადო სამსახურზე მოდის, რომელმაც თავის საქმიანობაში, ერთგვარი დადებითი ძვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა იმ მოთხოვნების შესაბამისად, რაც რაიონული გამგეობის მიმდინარე წლის 26 იანვრის, 15 მარტის და 28 აპრილის დადგენილებებით დაევალა.

*რაიონული გამგეობა ადგენს:*

1. გამგებლის პირველი მოადგილის ა. გირკელიძის ყურადღება მიექცეს იმ ფაქტს, რომ, თუ ის არ გააძლიერებს მომთხოვნელობას ეკონომიკური ბლოკის სამსახურებისადმი, დაისმება მისი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი.

2. ოზურგეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2000 წლის 5 თვის საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულებისათვის გაწეული მუშაობა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საგადასახადო ინსპექციის უფროსი ბატონი მიხეილ მიქატაძე ამ თანამდებობაზე სულ 2 თვის დანიშნულია და მისი მუშაობის პირველი თვის (აპრილი) გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული.

4. დაევალოს საგადასახადო ინსპექციას (უფროსი მ. მიქატაძე):

- რაიონული გამგეობის 2000 წლის 26 იანვრის, 15 მარტის და 28 აპრილის დადგენილებების შესაბამისად განიხილოს ინსპექციის იმ მუშაკთა დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების საკითხი, რომელთა მოუქნელი, უპასუხისმგებლო და ზოგჯერ არაკომპეტენტური მუშაობის გამო არ სრულდება საბიუჯეტო შემოსავლების სრულიად მობილიზაციის დავალებები.
- ინსპექციის საქმიანობა წარმართოს იმ მიმართებით, რომ აუცილებლად შესრულდეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა.
- მიმდინარე წლის 10 ივლისამდე შეიმუშაოს და რაიონის გამგებელთან წარმოადგინოს ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი განვლილ 5 თვეში წარმოშობილი გარღვევის დაფარვასთან დაკავშირებით.

5. დაევალოს რაიონის გამგებლის პირველ მოადგილეს ა. გირკელიძეს:

- სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სამმართველოს (დავით სიხარულიძე) და რაიონული გამგეობის იურიდიულ (გუგული ვასაძე) და ეკონომიკურ (ჯულიეტა ხელაძე) სამსახურებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეისწავლოს უცხოელ ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საკონკურსო პირობების შესრულების მდგომარეობა, ხელშეკრულებებში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
- გააქტიუროს მუშაობა არასაგადასახადო შემოსავლების ამოღებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან შემოსული თანხებით საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის საქმეს.
- მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე შეიმუშაოს ცეკავშირის სისტემის არასტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა და ქონების გაყიდვის პროგრამა და მისი რეალიზაციის შემთხვევაში კონტროლზე აიყვანოს შემოსული თანხებიდან საბიუჯეტო დავალიანებების პირველ რიგში დაფარვის საკითხი.

6. დაევალოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს, მიწის მართვის სამსახურს (ნოდარ ტაკიძე, თემურ ჩხარტიშვილი) საგადასახადო ინსპექციასთან ერთად ამ წლის 1 ივლისამდე რაიონის გამგეობას წარმოუდგინონ დასკვნა მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული და იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთებზე გადასახადის გაწერის სისწორის თაობაზე.

7. საბიუჯეტო შემოსავლების სრულად მობილიზაციის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით გამგებლის პირველ მოადგილესა და მოადგილეს შორის საბიუჯეტო სისტემის ფუნქციები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

- გამგებლის პირველ მოადგილეს ამირან გირკელიძეს დაევალოს ინდიკატორული გეგმის შედგენა, რაიონის საბიუჯეტო სისტემაში შემავალი ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირება, ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების ხარჯვის რეგულირება.
- გამგებლის მოადგილეს გია მამაკაიშვილს დაევალოს საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების, არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების შემოსავლების სრულად ამოღების ორგანიზაცია.

8. რაიონის გამგეობის აპარატის უფროსმა (შოთა გოგიბერიძე) სამი დღის ვადაში მოამზადოს პროექტი გამგეობის სამსახურებისა და განყოფილებების შტატების 20 პროცენტით შემცირების თაობაზე.

9. რაიონის გამგებლის პირველმა მოადგილემ (ა. გირკელიძე) საფინანსო განყოფილებასთან (ნ. ჭანუყვაძე) ერთად ამ წლის 25 აგვისტომდე ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოს პედაგოგთა ხელფასების დავალიანების მინიმუმამდე შემცირება.

10. რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილებამ (თამაზ ცერცვაძე) კომპლექსურად შეისწავლოს რაიონის ერთ-ერთი სოფლის საკრებულოში არსებული მდგომარეობა, უზრუნველყოს რაიონის გამგეობის გამსვლელი სხდომის ადგილზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა თანდასწრებით, ჩატარება და შედეგებზე აცნობოს გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს.

11. რაიონის გამგეობის პრესსამსახურმა (ნინო მდინარაძე) უზრუნველყოს რაიონის გამგეობის გაზეთ „ალიონისა“ და ტელეკომპანია „გურიის“ საშუალებით განხილული საკითხის გადასაჭრელად გამგეობის მუშაობაზე მასალების სისტემატური გამოქვეყნება, საინფორმაციო საშუალებებში ადგილობრივი მმართველობის სპეციალური რუბრიკის შექმნა.

12. რაიონის გამგებლის მოადგილე ვასილ ჩიგოგიძემ სამი დღის ვადაში უზრუნველყოს რაიონის განათლების ქსელში რეფორმის განხორციელებისა და ოპტიმიზაციის პროგრამის შემუშავების თაობაზე რაიონის გამგებლის განკარგულების პროექტის მომზადება.

13. რაიონის გამგებლის პირველმა მოადგილემ (ა. გირკელიძე) სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოსა (ნ. ტაკიძე) და საგადასახადო ინსპექციის უფროსთან (მ. მიქატაძე) ერთად ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს მიწის გადასახადების ამკრეფი ინსპექტორების მატერიალური წახალისების თაობაზე განკარგულების პროექტი.

14. დადგენილება დაეგზავნოს საგადასახადო ინსპექციას, გამგეობის ეკონომიკური ბლოკის სამსახურებს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს, მიწის მართვის სამმართველოს, საორგანიზაციო განყოფილებას, სოციალურ სამსახურს, რაიონის გამგეობის აპარატის უფროსს, გამგეობის პრესსამსახურს.

15. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

*რაიონის გამგებელი*

**ავთანდილ ღელეყვა.**

ბიუჯეტის თემაზე

# გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის კარლო გუჯაბიძის პრესკონფერენცია



პრესკონფერენციაც, რომელიც რაიონული გამგეობის სხდომის მომდევნო დღეებში ჩატარდა, ძირითადად ასევე საბიუჯეტო დავალებათა შესრულების საქმეში შექმნილი ვითარების დაწვრილებით განხილვას და ანალიზს მიეძღვნა, ჩამორჩენისა და დარღვევისადმი შეურიგებლობის ნიშნით, მკაცრი მსჯელობით წარიმართა.

მაგრამ ბატონი **კარლო გუჯაბიძე** თავის შესავალ სიტყვაში განცალკევებით, ლოკალურად მხოლოდ ამ საკითხს არ შეხებია, მან აღნიშნა, რომ ყოველმხრივ უნდა გავითვალისწინოთ ობიექტური რეალობა. ერთ-ერთი საუკეთესო იმ სამოქმედო პროგრამებს შორის, რასაც ვიცნობთ, ქვეყნის პრეზიდენტის წინასაარჩევნოდ გამოქვეყნებული პროგრამაა, რომელიც სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაკუთრებულ, ახალ კურსს გამოხატავს, მისი მიხედვით მიმდინარეობს ცვლილებები, დაკონკრეტება მთავრობაში, ქვეყნის მართვაში, მაგრამ მეორე საკითხია, თუ როგორ ხორციელდება ეს კურსი. გასათვალისწინებელია ყველაფერი — როგორია საერთაშორისო გარემო, რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება, როგორ, რა გზებით დავძლიოთ მზარდი საშინაო ღრმა კრიზისები და ა.შ. ეს პროცესი უკვე გაიარა, სიძნელეები გადალახა მრავალმა სხვა სახელმწიფომ. ჩვენ კი, როგორც ჩანს, ვერ აღმოვჩნდით რადიკალური გარდაქმნებისათვის მზად, გაგვიჭიანურდა ჩამოყალიბების პროცესი.

ყველა, თითოეული ჩვენგანი აქტიურად უნდა ჩაება ამ საქმეში. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო ჩვენი ქვეყანაა და ჩვენვე უნდა მივხედოთ და ვუპატრონოთ, ერთობლივად ვიზრუნოთ მისი აღორძინებისათვის. სახელმწიფოს, მთავრობას თუ აქვს ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, ჩვენც, ხალხმა, საზოგადოებამ, მოქალაქეებმა უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი მოვალეობა, პასუხისმგებლობა, ვალდებულებები. თუ არა და, უამისოდ ამ ერთობლიობის, ერთსულოვნების გარეშე საქართველო მეტს ვერ გადაიტანს.

უნდა შეიქმნას სათანადო სოციალური ფონი. სახელმწიფოსთან, ბიუჯეტთან, ეკონომიკურ მოწყობასთან მიმართებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ხელისუფლებას სჭირდება მოსახლეობის მხარდაჭერა, თანადგომა, რათა დაძლეულ იქნეს ეს უკიდურესი სიძნელეები, უმძიმესი სოციალური, ეკონომიკური პირობები. უპირველესად საჭიროა საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება. არ მივვაჩნია სასურველად მხოლოდ სამართალდამცველების ჩართვით, დასჯის, ძალისმიერი მეთოდებით წესრიგის დამყარების, დარღვევის აღკვეთის მიღწევა.

რეფორმები ითვალისწინებს დეცენტრალიზაციასაც; ცენტრიდან ბევრი რამ შეიძლება ისე არ ჩანდეს, როგორც სინამდვილეშია. ადგილებზე მეტი ინიციატივა, გადაწყვეტილებების მიღება. მეტი თვითაქტიურობაა საჭირო... რეგიონებში ბევრი რამ ადგილზე უკეთ გადაწყდება, მათი კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით.

შემდეგ რწმუნებული შეეხო კორუმპირების დონისა და მიმართულების განსაზღვრის საკითხს და განაცხადა, რომ ეს ხარვეზები ყველაზე უფრო ქმედითად გამოვლინდა საგადასახადო სისტემაში. მაგალითად, სულ მოკლე ხანში, ბოლო 2-3 წელიწადში, ოზურგეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსი ოთხჯერ შეიცვალა, გუნდი კი, თანამშრომლები, უცვლელად რჩებოდნენ და... მდგომარეობაც უცვლელი რჩებოდა, დანაშაულობანი, დარღვევები გრძელდება. ჩვენ რადიკალურად შევცვალეთ საკითხისადმი მიდგომა და წინადადება მივეცით სამუშაოდან განთავისუფლებაზე განცხადება დაეწერა ინსპექციის მთელ შემადგენლობას — 28 კაცს. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი როდია კორუმპირებული, მაგრამ გამომჟღავნდა ისიც, რომ კეთილსინდისიერად მუშაობენ ისინი, ვისაც არა ჰყავს მფარველი, ასე ვთქვათ, პატრონი, ე.წ. „კრიშა". კომპეტენტური კომისია იმსჯელებს და თავიანთ ადგილებზე დატოვებს პროფესიონალ და პატიოსან მუშაკებს, ხოლო ვაკანტური ადგილები შეივსება კონკურსის გზით. უკვე ასე მოხდა ლანჩხუთში, სადაც 18 თანამშრომელი გათავისუფლდა, მსგავსი რეფორმა გათვალისწინებულია ჩოხატაურის საგადასახადო ინსპექციაშიც.

ვქმნით საგანგებო ჯგუფს, რომელიც დაადგენს, დააზუსტებს საგადასახადო ბაზას, იზრუნებს მრავლად არსებული და აქამდე გამოუყენებელი (ან კიდევ, ფარულად, დანაშაულებრივად „გამოყენებული") რეზერვების გამოსავლინებლად და ბიუჯეტის შესავსებად. უნდა დავაზუსტოთ, შეგვიძლია თუ არა ამ ეტაპზე ვარჩინოთ, ვაარსებოთ ქალაქად და სოფლად ამდენი ობიექტი და ხალხი განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის დარგებში, სახელმწიფო დაწესებულებებში. ამიტომ დავაკონკრეტოთ, რა ფინანსური საშუალებები გააჩნიათ, რის ძალა შესწევთ ამ მხრივ ადგილებზე საკრებულოებს, გამგეობებს (სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების - კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, რადიოკვანძების და შტატების მიხედვით) და მათ ასე, თავიანთი შესაძლებლობების გათვალისწინებით, უნდა შექმნან შესაბამისი ფონდები.

უნდა განვახორციელოთ ბიუჯეტის სწორი ფორმირება, დავაზუსტოთ ხარჯვითი ნაწილი (აქამდე ასე კეთდებოდა: ჯერ ვიღებდით გასავლის, ხარჯვის ნაწილს, ხოლო შემოსავლის ნაწილს კი შემდეგ ვითვალისწინებდით (?!), ასე რომ არც კი ვაზუსტებდით, არ განვსაზღვრავდით ამ მხრივ რეალურ შესაძლებლობებს...

აქედანვე უნდა დავიწყოთ 2001 წლის ბიუჯეტის ყველა შესაძლებლობის რეალურად გათვალისწინებით დაზუსტება-შედგენა, რათა ზერელობას, დანაშაულებრივ ფორმალურობას ბოლო მოეღოს, იგი სწორი და ნამდვილი უნდა გახდეს. და ეს ასე უნდა გააკეთოს რაიონულმა ყველა რგოლმა, ყველა საკრებულომ. არასგზით აღარ უნდა დავუშვათ ამის ნაჩქარევად, ვიმეორებ, ფორმალურად (ე.ი. ყალბად) გაკეთება, რის შემდეგაც ზემდგომი ორგანოები (ფინანსთა სამინისტრო და სხვ.) ასევე ფორმალურად და ზერელედ გვიმტკიცებდნენ ამ გეგმებს.

რწმუნებულმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ბიუჯეტის ფორმირების, შევსება-რეალიზაციის საქმის წარმართვაში საჯაროობის მნიშვნელობაზე და, ამ მხრივ, განსაკუთრებით, საინფორმაციო საშუალებების - პრესის, ტელევიზიის მონაწილეობის ეფექტურობაზე, მრავალი სახის შესაძლებლობებზე და, ამასთან დაკავშირებით, კონკრეტული გზები და სამოქმედო ფორმებიც შეახსენა კონფერენციის მონაწილე ჟურნალისტებს. მუდმივი ყურადღების ქვეშ უნდა გვყავდეს, მეტი ზემოქმედება და კეთილნაყოფიერი ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ გადამხდელ დარგებზე, ობიექტებზე - სავაჭრო, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ფირმებზე, შპს-ებზე, კომპანიებზე თუ სხვა ორგანიზაციებსა და ინდივიდებზე. ფართო პროპაგანდა გავუწიოთ წესიერ, კეთილსინდისიერ ხალხს, ვინც ბიუჯეტთან პირნათელია გამოვაჩინოთ, რეკლამა გავუკეთოთ ორგანიზაციებს და ადამიანებს, ღირსეულად, სწორად და პატიოსნად რომ ასრულებენ მოვალეობას, გამოვიყენოთ ამისათვის საგაზეთო ჟანრების თუ ტელეგადაცემების სხვადასხვა ქმედითი ფორმები. ამავე დროს, გამოვავლინოთ და საქვეყნოდ ვამხილოთ, საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ ცრუპატრიოტები, ურჩი გადამხდელები, რომლებიც, ერთის მხრივ, ხმამაღლა ლაპარაკობენ ქვეყნისა და ხალხის სიკეთის საკეთილდღეოდ თავიანთი მზადყოფნის შესახებ, მეორე მხრივ კი უტიფრად ატყუებენ, ფლცქვნიან ხალხს, შემოსავლებს უმალავენ ქვეყანას. ასევე, უნდა ვამხილოთ, პრესის ფურცლებსა და ტელეეკრანებზე საჯაროდ დავგმოთ მაღაზიებში თუ სხვაგან საქმაოდ მომრავლებული ცრუ და ყალბი, მყვირალა რეკლამები, რომლებიც დაუმსახურებლად აქებენ, მაგნე პროპაგანდას უწევენ ცუდ, უხარისხო პროდუქციას — კვების პროდუქტებს, ფართო მოხმარების საქონელს.

რა თქმა უნდა, ჩვენი რედაქციის მუშაკებისათვის საპატიო და გასათვალისწინებელია, რომ დიდად საპასუხისმგებლო წინადადებების შესრულების საქმეში, როგორც რწმუნებულმა აღნიშნა, წარმმართველი როლი უნდა შეასრულოს რაიონულმა გაზეთმა „ალიონმა" - დიდი ტრადიციების და გამოცდილების მქონე, ნაცადმა გაზეთმა, რომელსაც ახლო ხანში დაარსების 70 წელი უსრულდება.

ბატონმა კარლო გუჯაბიძემ პასუხი გასცა კონფერენციის მონაწილეთა შეკითხვებს. აღსანიშნავია, რომ კორუფცია უმეტესწილად წარიმართა მსჯელობის, აზრთა ურთიერთგაცვლის სახით. საბიუჯეტო საკითხებთან და, აგრეთვე, წამოჭრილ სხვა მნიშვნელოვან სადღეისო თემებთან და პრობლემებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ვახტანგ ჯაყელმა (ვეტერანი ჟურნალისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი), გურამ კუნჭულიამ (საინფორმაციო სააგენტო „მეილ-ექსპრესი"), ნატო მათირიშვილმა („რადიო თავისუფლება"), თემურ მარშანიშვილმა, ლია კილაძემ (ტელეკომპანია „გურია"), თამაზ სალუქვაძემ (გაზეთი „ალიონი").

**ნინო სალუქვაძე.**
**გულსუნდა მახარაძე.**
**თამაზ სალუქვაძე.**

## ვულოცავთ!

### ვლ. ჭიჭუაძეს – ღირსების ორდენი

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 ივნისის ბრძანებულებით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ჯგუფი. მათ შორის:

ვლადიმერ ჭიჭუაძე – ოზურგეთის ცენტრალური საავადმყოფოს წამყვანი ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული ექიმი.

## საქველმოქმედო აქცია

როგორც გურიის მხარის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის კოორდინატორის მოადგილემ დავით ბერძენიშვილმა გვითხრა, 26 მაისს, სტუდენტური დღეების დამთავრების აღსანიშნავად გამართულ საზეიმო საღამო-კონცერტზე შემოსული თანხები გადაეცა ქ. ოზურგეთის სკოლა-ინტერნატს. - ასე რომ, საქართველოს დამოუკიდებლობის სადღესასწაულო დღეს ინტერნატის მოსწავლეებმა უფროსი მეგობრების - სტუდენტებისაგან შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს.

## საზოგადოებრივი კავშირი „ოზურგეთი"

ეს კეთილშობილური იდეა — შექმნილიყო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოზურგეთი" ფართო სამოქმედო პროგრამით, უმნიშვნელოვანესი საარსებო პრობლემების გადასაჭრელად დასახული მრავალსახოვანი სპექტრით - ერთ-ორ კაცს არ დაბადებია. ამაზე კარგა ხანია ფიქრობდა რაიონში თუ დედაქალაქში, საქართველოს რეგიონებში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებგარეთაც მოღვაწე ბევრი ოზურგეთელი.

ბოლო წლების კრიზისული მოვლენების შედეგად, როგორც საერთოდ ქვეყანა, ოზურგეთის რაიონიც მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. გადაწყდა დაარსდეს არასამთავრობო, არაპოლიტიკური, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი კავშირი „ოზურგეთი", რომელიც მიზნად ისახავს აქტიური, თვალსაჩინო როლი შეასრულოს ქალაქ ოზურგეთისა და რაიონის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგების აღდგენისა და შემდგომი განვითარების, ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესება-გაჯანსაღების, კულტურული ტრადიციების აღდგენის საქმეში.

საგულისხმოა, რომ მარტო თბილისში მოძიებულ იქნა 470-ზე მეტი ოზურგეთელი, რომლებიც ამჟამად წარმატებით საქმიანობენ მნიშვნელოვან ადგილებზე მეცნიერების, კულტურის, ბიზნესის სფეროებში, ხელისუფლების სტრუქტურებში; ისინი მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოება „ოზურგეთის" მუშაობაში, დიდი სიყვარულით იზრუნონ მშობლიური კუთხის აღორძინებისათვის: ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რუსუდან ბერიძე, რუსეთის სატრანსპორტო და საქართველოს საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი, ნიუ-იორკის აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის „საქავტოგზის" გენერალური დირექტორი თამაზ შილაკაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ზურაბ ნხაიძე, მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიზო ნიშნიანიძე, ქართული ხელოვნების დიდი მოამაგენი, სახელოვანი მოღვაწენი ანზორ ერქომაიშვილი, ჯემალ ქუასელი, ქეთი დოლიძე, რეზო ესაძე, საქმთავარენერგოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ლომაძე და სხვ.

თბილისში შედგა ამ ორგანიზაციის დაარსების საინიციატივო ოზურგეთის ჯგუფის წარმომადგენელთა (თენგიზ კუნჭულია, რენო ურუშაძე, გოჩა შანიძე, ლევან მჟავანაძე) საკონსულტაციო შეხვედრები თბილისელ ინიციატორთა ჯგუფთან. ერთობლივად შემუშავდა საზოგადოების სტრუქტურა, წესდების პროექტი, სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

შემდეგ, მაისის ბოლოს, ოზურგეთს ეწვივნენ თბილისელ დამფუძნებელთა საინიციატივო ჯგუფის წევრები: რუსუდან ბერიძე, თამაზ შილაკაძე, სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკის განყოფილების გამგე ილია ქანუყვაძე, მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი ჯუნა მიქატაძე, სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი გიორგი ბერიძე, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამეურნეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუკრი უჯმაჯურიძე, საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების კერძო სააგენტოს წარმომადგენელი ლერი ჯაყელი, ექიმი-უროლოგი ნოდარ ფირცხალაიშვილი, ბიზნესმენი ავთანდილ ვაშალომიძე...

სახელმწიფო თეატრში გაიმართა მათი შეხვედრა ოზურგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული გურიის მხარეში კარლო გუჯაბიძე, რაიონის გამგებელი ავთანდილ ღელეყვა, ქ. ოზურგეთის მერი ზაურ ქობულაძე. შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა სააქციო საზოგადოება „ბჟუჟის" მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარემ რენო ურუშაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ: ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ენვერ გოგუაძე, პირველი საშუალო სკოლის დირექტორი მარინა ვაშალომიძე, ექიმი ირინა კობალეიშვილი, რაიონის მთავარი ექიმი დავით ჩანტლაძე, მამა ბასილი (კიკვაძე), მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ლიანა იმედაშვილი, ამავე სკოლის პედაგოგი ქეთინო მოსახლიშვილი, პარლამენტარი ზურაბ ნხაიძე, ექიმი მანანა გობრონიძე, ოზურგეთის „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის" ხელმძღვანელები გოჩა შანიძე, ლევან მჟავანაძე, ანასეულის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლავრენტი ბიგვავა, შრომის ვეტერანი, დამსახურებული ინჟინერი გივი ცელაძე, რუსუდან ბერიძე, თამაზ შილაკაძე.

ყველა გამოსვლის სულისკვეთება ერთსულოვნად იყო მიმართული ერთი მიზნისაკენ (რასაც ასევე ერთსულოვანი მოწონებით და სამოქმედოდ მზადყოფნის გამოხატვით დაუჭირა მხარი შეკრების ყველა მონაწილემ): თუ ჩვენ ჭეშმარიტი ოზურგეთელები, მშობლიური კუთხისა და ქვეყნის ერთგული შვილები ვართ, მაშინ არ შეიძლება გულხელდაკრეფილები ვიყოთ და არ გვაღელვებდეს საერთო ჭირ-ვარამი. არ ვეცადოთ გამოვნახოთ გზები და საშუალებანი, რაც ხელს შეუწყობს ოზურგეთის რაიონის განახლებას და მისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, სწორედ ამ მიზნით იქმნება საზოგადოებრივი კავშირი „ოზურგეთი". გავერთიანდეთ ოზურგეთისა და ოზურგეთელთა საკეთილდღეოდ!"

შეხვედრის დამთავრების შემდეგ სტუმრები გაეცნენ „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის" საქმიანობას, ეწვივნენ ოზურგეთის საკრედიტო კავშირის ოფისს, ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში ნახეს „ხრიდოლის" გამოფენა, რომელიც ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის (პრეზიდენტი ლ. კიკალეიშვილი) და ოზურგეთის სამხატვრო გალერეის (დირექტორი ა. თავართქილაძე) თაოსნობით მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილია ქართული საბრძოლო იარაღების, აღჭურვილობის, ტანსაცმლის, ორთაბრძოლების სახეობების, ხერხებისა და ილეთების ამსახველი მასალები (მდიდარი ლიტერატურა, ფოტოსტენდები და თვალსაჩინოების სხვა საშუალებანი).

**სოლო ქვათაძე.**

## *ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში*

### *სამუშაო შეხვედრები*

ამ დღეებში ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში ფონდმა „ჰორიზონტმა" მოაწყო სამუშაო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თემაზე „არასამთავრობო სექტორსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის სტრატეგია".

შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის აქტიური დიალოგისა და თანამშრომლობის დაწყება, რაიონში არსებული სხვადასხვა პრობლემების გადასაწყვეტად.

შეხვედრას უძღვებოდა ფონდ „ჰორიზონტის" წარმომადგენელი დათო სუბელიანი.

სიტყვებით გამოვიდნენ და საყურადღებო საკითხებზე ისაუბრეს ოზურგეთში ფონდ „ჰორიზონტის" საკონტაქტო პირმა ლევან მჟავანაძემ, გურიის მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ გოჩა გორდელაძემ, რაიონული საკრებულოს წარმომადგენელმა გია მენაბდემ, რაიონის საფინანსო განყოფილების გამგემ დიანა ჭანუყვაძემ, გურიის აგრობიზნესცენტრის წარმომადგენლებმა ანასეულიდან ზურაბ და დავით მაისურაძეებმა, გურიის აგრობიზნესის ცენტრის წევრმა ზვიად ერაძემ.

იყო შეკითხვები, ითქვა რაიონული გამგეობისა და საკრებულოს წინაშე არსებულ გადასაჭრელ პრობლემებზე, დასახეს საძიებელი გზები.

**ნინელი ქალანდაძე.**

21 ივნისს აღინიშნა დიდი ქართველი პოეტის

## აკაკი წერეთლის

დაბადების 160 წლისთავი (1840–1915)

### *ვუსმინოთ ბრძენკაცს!*

დიდი აკაკი ერის უკვდავ შვილთა რიცხვს ეკუთვნის. სულმნათი პოეტი ახლაც გვმოძღვრავს საქართველოს ერთგულების, ერთიანობის, ძმობის და სიყვარულის სულისკვეთებით. აი, თუნდაც მრავალი წლის წინათ ერთ-ერთ შეკრებაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან სტრიქონები თითქოს დღეს არის ნათქვამიო, ისე ზუსტად მიესადაგება ახლანდელ ვითარებას:



„დღეს ის შენობა, სადაც ვიყავით გამომწყვდეული, ირღვევა და იმის წილ ახალი, დროის შესაფერისი უნდა აიგოს, ჩვენც უნდა დავაგდოთ ძველი მიხვეულ-მოხვეული გზა და გავიყვანოთ ახალი: უფრო სწორე, პირდაპირი და თამამადგასასვლელი. ბრძენთა-ბრძენი ამბობს, რომ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო". ყველაზე დიდი ეკალი უთანხმოება არის, ის უთანხმოება, რომელიც ასუსტებს ხალხის ძალას!..

დღეს ჩვენები რამდენიმე წრედ არიან გაყოფილნი, რომ ერთმანეთს წინ აღუდგნენ, თუმცა ცალცალკე კი ყველას ერთი და იგივე უწერიათ დროშაზე: „ძმობა, ერთობა და სიყვარული!.." შეერთებულად უნდა მივიდეთ ყველამ ახალშენობას.

...ვასურვებ თქვენს სიფრთხილით წინდახედულობას, შორსმჭვრეტელობას..

ეს არის ჩემი უკანასკნელი ნატვრა — სურვილი, და აწ კი მშვიდობით და გამარჯვებით!"

## ძალა ჰუმანიზმშია

გურიის მხარის რაიონებში წითელი ჯვრის მსოფლიო დღის აღსანიშნავად ფართო მასშტაბური ღონისძიებები ჩატარდა. განსაკუთრებით გამოირჩნენ ამ მხრივ სამივე რაიონის სკოლები.

მოეწყო წერითი და ხატვის კონკურსები, რომელთა შედეგები ერთობლივად შეაჯამეს წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების ხელმძღვანელობამ და განათლების სამინისტრომ. წერით კონკურსში გამარჯვებული ლანჩხუთის №1 საშუალო სკოლის მოსწავლე ოთარ ებრალიძე ფერადი ტელევიზორით დაჯილდოვდა.

კონკურსში „ძალა ჰუმანიზმშია" წითელ ჯვართან დაკავშირებული სხვადასხვა სახის საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისთვის წითელი ჯვრის გურიის სამხარეო შეკრებაზე პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა წითელი ჯვრის 158 მოხალისეს.

საუკეთესო სასკოლო ორგანიზაციის რეგიონალური პრიზი ერგო ქ. ოზურგეთის №2 საშუალო სკოლას, იგი დაჯილდოვდა კომპიუტერით და საერთაშორისო ბანაკის ორი საგზურით. სამახსოვრო პრიზები მიეკუთვნა ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის №1 საშუალო სკოლებს.

შემოწირული თანხების მიხედვით რეგიონში საუკეთესო ბეიჯების პრიზები მიიღეს ლალი თავაძემ (ოზურგეთი), ანჟელა მშვიდობაძემ (ლანჩხუთი), ჟუჟუნა კუტუბიძემ (ჩოხატაური). საუკეთესო ბეიჯის პრიზი ერგო ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს აკაკი ჩხიკვიშვილს, ლანჩხუთიდან - ჯუმბერ ფირცხალაიშვილს. ჯეროვნად შეფასდა საუკეთესო პედაგოგების ნინო ბილიხოძის, კლარა გურგენიძის (ოზურგეთი), მიმოზა ბარამიძის (ლანჩხუთი), ჩოხატაურიდან მანანა ჯინჭარაძის, ს. გუთურის საშუალო სკოლის დირექტორის რევაზ დოლიძის, კონკურსისათვის „ვეძებთ ტალანტებს" შემოწირული თანხის მიხედვით გამარჯვებული მაია ნიკოლაიშვილის (ოზურგეთი) ნაყოფიერი საქმიანობა. მათ გადაეცათ სუვენირები. 130 ბავშვი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით.

რეგიონალური შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების პრეზიდენტი ნოდარ ცქიტიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ პაპუაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში კარლო გუჯაბიძე, რწმუნებულის პირველი მოადგილე თენგიზ ტყემელაშვილი, ოზურგეთის რაიონის გამგებელი ავთანდილ ღელეყვა.

დასასრულ, წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტმა ნოდარ ცქიტიშვილმა მთავრობის ჯილდოები გადასცა წითელი ჯვრის ამაგდარ მუშაკებს: ღირსების ორდენი - გურიის მხარის რეგიონალურ ორგანიზაციაში საზოგადოების სპეციალურ წარმომადგენელს ეთერ კილურაძეს, ღირსების მედლები - ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ანჟელა მშვიდობაძეს და ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის მოწყალების სამსახურის მედდას გულიკო როყვას.

# ახალგაზრდობა — იმედი ხვალის!

## მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივი შრომის ნაყოფი

ამასწინანდელი ერთი საღამო ალბათ არასოდეს დაავიწყდება ჩვენი რაიონის სკოლების იმ მოსწავლეებს, რომლებსაც 54-ე რესპუბლიკურ სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციაში მონაწილეობის მიღების უფლება ხვდათ წილად. ამ დღეს ოზურგეთის რკინიგზის სადგურში მათ გასაცილებლად მოვიდნენ განათლების მესვეურები - გურიის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსი ლელა იმედაშვილი, რაიონის განათლების განყოფილების გამგე თემურ მოქია, პედაგოგები, მშობლები, რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

რესპუბლიკურ კონფერენციაზე მიღწეული თვალსაჩინო წარმატება პედაგოგთა და მოსწავლეთა ერთობლივი მონდომებისა და ნაყოფიერი შრომის შედეგია. დიდად სასიხარულო და მისასალმებელია, რომ, დღეს, როცა ასეთი სიძნელეებია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, პედაგოგებს არ დაუკარგავთ ხალისი და მისწრაფება, სავალდებულოზე მეტად იშრომონ და თავიანთ მოწაფეებს აღუძრან და განუვითარონ გაკვეთილებს ზევითაც კვლევა-ძიების, ცოდნის დაუფლებისა და დამოუკიდებელი აზრის გამოხატვის სურვილი.

„ვით ახალ მორჩი ვაზისა ხელს მიჰყვეს საფურჩნელადა, ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს - გასაწვრთნელადა“, ბრძანებდა დავით გურამიშვილი. შეგირდისა და ოსტატის შრომას, მათ რუდუნებას დიდი ყურადღებითა და გულისხმიერებით გამოეხმაურა რაიონის გამგებელი ბატონი ავთანდილ ღლეყვა, რომელმაც უყოყმანოდ დაუჭირა მხარი კონფერენციაზე წამსვლელთა წინამძღოლის, განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგის ქალბატონ ელიკო ბურჭულაძის წინადადებას და უზრუნველყო დედაქალაქში მათი უფასოდ გამგზავრება.

მე, როგორც მშობელი და პედაგოგი, ღრმა მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებ ყველა იმათგანს, ვინც ხელი შეუწყო ჩვენი ბავშვების გამარჯვებას, განსაკუთრებით სამადლობელ სიტყვას ვუძღვნი №4 საშუალო სკოლის დირექტორს ბატონ ტარიელ კალანდაძეს - ჩემი შვილის გურამ ნაცვალაძის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის მის წარმატებაში.

**ანა მენაბდე,**
*ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

## „წითელკაბიანი გოგონები“

„წითელკაბიანი გოგონები“ - ასე გვეძახდნენ თავიდანვე და ასე გვიცნობენ დღესაც.

ანსამბლი „ოცნება“, რომელიც 1990 წელს ჩამოყალიბდა ნინო ჩხაიძის ხელმძღვანელობით, კარგად არის ნაცნობი ოზურგეთელთათვის.

წელს მას შექმნიდან ათი წელი ესრულდება და ამ განვლილი დროიდან ბევრ სასიხარულოს და საინტერესოს ვიხსენებთ მისი წევრები.

მინდა ჩვენს მკითხველს ანსამბლის „თავგადასავლებიდან“ ერთი ღირსშესანიშნავი, მართლაც სამუდამოდ სასიამოვნოდ დასამახსოვრებელი ამბავი მოვუთხრო.

1996 წელს ბულგარეთში, ქ. ვარნაში მეხუთე საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე მიგვიწვიეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად.

ტრადიციისამებრ, ფესტივალის გახსნამდე მონაწილეებმა მინიკონცერტები წარმოვადგინეთ ვარნის ქუჩებში.

შემთხვევით ამერიკელ ქალთა ფოლკლორული ანსამბლი შემოგვიერთდა და... ჩვენთან ერთად ქართული სიმღერა „დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს“ შეასრულეს! ეს მოულოდნელი და, რა თქმა უნდა, მეტად სასიხარულო აღმოჩნდა თითოეული ჩვენთაგანისათვის. გადაწყდა, რომ ამ სიმღერას ერთად ვიმღერებდით ფესტივალზე!

ჩანაფიქრი მშვენივრად განვახორციელეთ და მსმენელთა დიდი მოწონებაც დავიმსახურეთ. მომდევნო დღეებში კიდევ უფრო დავმეგობრდით და ფესტივალის ბოლო დღესაც ერთად ვიმღერეთ.

განშორების ჟამს კი მოგონების ნიშნად ჩონგური ვუსახსოვრეთ ქართულ ხალხურ სიმღერებზე უსაზღვროდ შეყვარებულთ.

მე მინდა, ამ ლამაზ გახსენებასთან ერთად, ჩვენი ანსამბლის სახელით დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს ხელმძღვანელს ნინო ჩხაიძეს და ვუსურვო ულევი წარმატებები ცხოვრებაში.

**ნინო სალუქვაძე,**
*ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებული*

## ჩემი მასწავლებელი

22 მაისს, ამ დაუვიწყარ დღეს, ოზურგეთში გაიმართა პოეზიის საღამო.

სილამაზით სავსე წუთები, დიდი სიხარულით აღსავსე გულები! „პოეზია ხომ მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა კაცთა ღვთივრჩეულთა“.

დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, შეკრებილთა წინაშე წარმოაჩენდა თავის შემოქმედებით ნიჭს, გამოხატავდა სულში ჩაბუდებულ სიყვარულს და სათნოებას. გამოხატავდნენ იმ დიდ იმედს, რომელიც ესოდენ ესაჭიროება დღევანდელ, შეჭირვებულ საქართველოს.

იქნებ შევძლოთ ჭეშმარიტი გზით სიარული, იქნებ ვარდები დავუკრიფოთ საქართველოს და ფრთაშესხმულს ფიფქებივით ზედ გადავაფრქვიოთ. ყოველივე ამას კი წინამძღოლი სჭირდება, რომელიც დაგვისახავს გზას მომავლისაკენ.

...პოეზიის საღამოს შესახებ უკვე წერდა გაზეთი, საკმაოდ ვრცლად. ამ წერილით კი მე მინდა მოვესიყვარულო და მოვეფერო ამ შესანიშნავი ღონისძიების ერთ-ერთ ინიციატორსა და ორგანიზატორს - პედაგოგს, რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტ კლარა გურგენიძეს, რომელიც ქალბატონებთან ფეფო ბოლქვაძესა და ზინა სალუქვაძესთან ერთად ხელმძღვანელობდა საღამოს; ჩვენი სათაყვანებელი კლარა თავად იყო მიზეზი იმ სილამაზისა, რომელიც დარბაზში სუფევდა. მართალაც რომ ღმერთქალივით გაჰყურებდა დარბაზს და იმედისმომცემ სხივებს აფრქვევდა.

არაერთი თაობა აამეტყველა ღვთიური სიტყვით, არაერთ ახალგაზრდას ჩაუნერგა გულში მამულის სიყვარული, „ენა, მამული, სარწმუნოება“ — აი, ეს იყო და არის ამ კეთილშობილი ადამიანის სალოცავი და ცხოვრების არსი.

არ დავფარავ და ხშირად ცრემლებიც კი მომადგება თვალზე, როდესაც ვისმენ ამაღელვებელ, ამაფორიაქებელ ტკბილ ღუღუნს მის ბაგეთაგან გადმომდინარეს. მეც შემხებია, მეც მომსალბუნებია მისი სუნთქვა, შემიგრძნია მისი სათნო ბუნება.

იცით, ვამაყობ, რომ მისი არზრდილი ვარ! ის ჩემი მასწავლებელია, მაგრამ მასწავლებელზე მეტი. თითქოს საუკუნე იყო ის ორი წელიწადი, რომელიც მასთან გავატარე. მოსწავლეებს გვიზიდავს იგი, რადგან სიკეთეს, სიყვარულს, სილამაზეს მასთან დაუდვია ბინა.

მე მინდა მრავალი წელი ვიყო კიდევ მასთან, მის კალთას ამოფარებული

**შორენა კალანდაძე,**
*ქ. ოზურგეთის საღამოს საშუალო სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებული.*

## კონკურსში გამარჯვებული

ამ გაზაფხულზე განათლების სამინისტრომ და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩაატარეს კონკურსი თემაზე „ომსაც აქვს შეზღუდვები“.

კონკურსის ძირითადი მიზანი იყო გაერკვია, თუ როგორ აღიქვამენ ჩვენი ბავშვები ომის სიძნელეებს, მისგან გამოწვეულ უბედურებებს, განადგურებული სოფლებსა და ქალაქებს, როგორ ესმით მათ გამოთქმა „ომსაც აქვს შეზღუდვები“.

ჩვენი რაიონიდან ამ კონკურსში მონაწილეობა ბევრმა ბავშვმა მიიღო. მათგან გამარჯვებული რესპუბლიკის მასშტაბით სულ 11 მოსწავლე გამოვლინდა.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ მათ შორის სოფელ ძიმითის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე თამარ პატიეშვილიც არის.

ამ მართლაც რომ მეტად ნიჭიერ და ნაკითხ გოგონას ბრწყინვალედ შეუსრულებია ნამუშევარი, სათაურიც შესაფერისი მოუძებნია: „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“.

როცა ამ პატარა ნოველას (ჩვენ ასე დავარქვით) წაიკითხავთ, თვალწინ წარმოგიდგებათ ეპიზოდები იმ ძმათამკვლელი ომისა, რომელსაც აფხაზეთის დაკარგვა ჰქვია და რომელიც ასე შეუნელებელ ტკივილად გადაეცემა მომავალ თაობებს...

საქართველოს განათლების მინისტრის ბატონ ალექსანდრე კარტოზიასა და საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელის ფრანსუა ბელონის ხელმოწერით თამარ პატიეშვილს გადაეცა სიგელი. იგი დააჯილდოვეს, აგრეთვე, წიგნებითა და უცხოური მაგნიტოფონით.

ჩვენც ვულოცავთ პატარა თამარს ამ დიდ გამარჯვებას და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

**ნინელი კალანდაძე.**

## ზღაპარი — ბავშვთა შთაგონების წყარო



დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლე ახალგაზრდობის სარაიონო სახლის (დირექტორი ირინე ბილიხოძე) მიერ ჩატარებულმა „ზღაპრის კვირეულმა“, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ამ მრავალფეროვანი ღონისძიების დასკვნითი კონცერტი და ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა „ნორჩ მხატვართა ჯადოსნური სამყარო“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დარბაზში გაიმართა.

ზღაპრის კვირეულში შესანიშნავად წარმოდგნენ და მაყურებელთა და ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურეს ქალაქის მე-3, მე-4, მე-5 საშუალო სკოლებმა, რეალურ-პროფილურმა სასწავლებელმა, სოფლების — ოზურგეთის, მელექედურის, ლიხაურის საშუალო სკოლებმა. გამარჯვებული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვდნენ. კვირეულის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის თითქმის ყველა წრე და თანამშრომლები, კულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზატორის მაია თავდიშვილის მოთავეობით.

მომავალი სასწავლო წლისათვის გათვალისწინებულია ანალოგიური ღონისძიებების ჟანრობრივად კიდევ უფრო გაფართოება, მათ შორის, ნორჩ დეკლამატორთა საღამოების ჩატარება.

**მიხეილ გოლიაძე,**
*საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.*

## „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ!“

*...ანუ ამ დევიზის განწყობილებით ჩვენი ქალაქის ერთი უბნის ენთუზიაზმით აღვსილმა ბიჭებმა თავიანთი შრომით როგორ მოაწყვეს ბავშვთა დასვენებისა და გართობის სკვერი.*

ეს მიმზიდველი სკვერი ქ. ოზურგეთში, ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე, სპორტდარბაზ „ამირანის“ მომიჯნავე ტერიტორიაზე გაიმართა. იგი კაპიტალური, დაბალბურჯებიანი და ხის ფიგურებიანი ღობითა და პატარა ჭიშკარითაა შემოზღუდული; მასში ხელუხლებელია წვრილი ბლისა და ტყემლის მოზრდილი ნარგავები, ხოლო ადრე უმოწყალოდ მოჭრილი ჭადრის ხეების ძირკვებზე ოთხი მოზრდილი ვაზონი ახლა ნაირფერი ყვავილებით დამშვენებულა. სკვერის სავალი ბილიკები გრანიტის ფილებითაა მოპირკეთებული, ხოლო ახლად დაგებულ მწვანე კორდზე განლაგებულია ფანჩატურიანი გრძელი მაგიდა და ბავშვთა გასართობი საშუალებანი — სხვადასხვა სახის საქანელა, მვედური კედელი, მარტივი კარუსელი, ქვიშიანი ორმო, მდელოებზე დადგმულია ნაირფრად შეღებილი გრძელი სკამები, ღობის ერთ კუთხეში რიყის ქვებით ამოშენებულია მეტად კოლორიტული წყარო. სკვერში აღმართულია ბრინჯაოსფერი ჯვარი — ქრისტიანული რწმენისა და სულიერი ამაღლების სიმბოლო...

ყველაფერი ეს ასე დაიწყო: საინიციატივო ჯგუფის წევრებმა კახა ღლონტმა, გია ნაცვალაძემ, გიორგი გიორგაძემ, თეიმურაზ ჩავლეშვილმა, მაკა მეგრელაძემ ნიდერლანდების საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია „NOVIB“-ში ოზურგეთის ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო ბიუროს დახმარებით წარადგინეს პროექტი „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ!“ იგი ითვალისწინებდა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, კერძოდ, ვ. დოლიძის ქუჩაზე პატარა სკვერის მოწყობას, რომელიც გახდებოდა ბავშვთა თავშეყრის და გართობის ადგილი. პროექტმა გაიმარჯვა და გრანტის სახით დაიმსახურა 900 დოლარი, რასაც მოჰყვა ოზურგეთის რკინიგზის ვაგზლისპირა უბნის ბიჭების კეთილშობილური შრომითი აღტყინება... თვენახევრის მანძილზე გრძელდებოდა მათი მუხლჩაუხრელი, მაგრამ ხალისიანი შრომა, რომლის სასიკეთო შედეგმა 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ქალაქის ამ უბნის პატარებს დიდი სიხარული მოუტანა.

ამ დღეს ახლადგაშენებულ სკვერთან ხალხმრავლობა, სტუმრიანობა გაიმართა. სტუმართა შორის იყვნენ სამხარეო ადმინისტრაციისა და რაიონის გამგეობის წარმომადგენლები, სტუმრები. ახალი სკვერის გახსნის საზეიმო ცერემონიალი სკვერის ჭიშკართან გაიმართა. თავად პატარებმა გაჭრეს სიმბოლური ლენტი და ჟრიამულით დაისაკუთრეს საქანელა და კარუსელები, ზოგმა წყაროს მიაშურა და დოქის ტუჩიდან გადმომდინარე ანკარა წყლის ჭავლით ხელსა და პირს ისველებდა. შემდეგ, მოზეიმე ბავშვებს ტკბილეულით და ახალი ხილით გაუმასპინძლდნენ.

იმ მშვენიერ დღეს ყველაზე მთავარი და ნიშანდობლივი მაინც ის გახლდათ, რამაც გამომსვლელთა სიტყვებშიც გაიჟღერა და მრავალრიცხოვანი ოზურგეთელისა და სტუმრის გაბრწყინებულ სახეებზედაც იყო აღბეჭდილი, რომ ამ კეთილშობილური საქმის ავტორთა და შემსრულებელთა მიმართ მადლიერებისა და კმაყოფილების გრძნობა, ჩვენი დამოკიდებულება ახალგაზრდებისადმი ყოველთვის ოპტიმისტურია, რადგან მათში არის რწმენა, ძალა და დადებითი მუხტი, რომელიც ქვეყნისა და საზოგადოების სასიკეთო საქმეებად განსხეულდება.

ბოლოს იმასაც დავძენთ, რომ ამ ახალგაზრდების ჯგუფმა, უბნის ბიჭებმა ახალი ჩანაფიქრიც გაგვანდეს, — განზრახული აქვთ სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედნის მოწყობაც.

**ელგუჯა შევარდნაძე.**

*ზეიმი ბავშვთა ბაღში*

## კეთილშობილური მოვალეობის დიდი სიყვარულით შესრულების შედეგი

ნორჩების ეს ღირსსახსოვარი ზეიმი ამ დღეებში გაიმართა ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოს, უფრო ზუსტად სააქციო საზოგადოება „ასკანიტის“ ბავშვთა ბაგა-ბაღში (ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ბაგა-ბაღი), ქალაქის ცენტრში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე, ლამაზ შენობასა და ეზო-მიდამოში რომ მდებარეობს.

უფროსი, გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელები მშობლიურ ბაღსა და საყვარელ აღმზრდელებს ეთხოვებოდნენ საგულდაგულოდ მომზადებული საზეიმო საკონცერტო პროგრამით. ხალხმრავლობა იყო, ბავშვებს უფროსები, მაყურებლები ჭარბობდნენ და, რა თქმა უნდა, მათ შორისაც უმრავლესობას ნორჩი „მსახიობების“ მშობლები, ნათესავები, ახლობლები შეადგენდნენ; ყველას სურდა საკუთარი თვალით ეხილა ბავშვების შემოქმედებითი ოსტატობა, გაეზიარებინა მათი ხალასი სიხარული, მიელოცა მათთვის ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი თარიღი.

დიდი მონდომებით და გულისყურით, ცოდნისა და უნარის დაუშურებლად მოეკიდა საზეიმო ღონისძიების მომზადების ორგანიზაციას ჯგუფის მასწავლებელი თათული მგელაძე. მას ერთგულად, ენერგიულად ამოუდგნენ მხარში სხვა აღმზრდელებიც — თავად ბაღის გამგე ვერა ვასაძე, მეთოდისტი ლუიზა მუჯირი, მეორე ცვლის მასწავლებელი ელიკო დარჩია, ლოგოპედი ნაზი ჭანუყვაძე, მუსიკის მასწავლებელი მაყვალა როგავა, ინგლისურის მასწავლებელი ფუცუ ჯიქია, მომვლელი იზოლდა დობორჯგინიძე...




ამ ერთსულოვნების, გულისხმიერების, ყველა დეტალისადმი ყურადღების მიქცევის, ჯგუფის თითოეული ბავშვის ნიჭისა და შესაძლებლობების გათვალისწინების შედეგი იყო, რომ ასე მაღალ დონეზე, მრავალფეროვნად, გამართულად და საინტერესოდ წარიმართა მთელი ზეიმი, რომელშიაც უკლებლივ ყველა — ოცდარვავე აღსაზრდელმა მიიღო აქტიური მონაწილეობა. ერთმანეთს ცვლიდნენ ქართული ცეკვები და სიმღერები, ლექსები ქართულ, ინგლისურ ენებზე, ინსცენირება — ბავშვებმა „დაბადების დღე“ გადაუხადეს თავიანთ მეგობარს, სახურავის ბინადარ კარლსონს, ზეიმში მონაწილეობდნენ აგრეთვე მათი საყვარელი სხვა ლიტერატურული, სასცენო, თუ კინოპერსონაჟები ბასტი და ბუბუ, პეპი - გრძელი წინდა თავისი მეგობრებით, ბურატინო, კატა ბაზილიო და მელა ალისა, სხვანი და სხვანი.

დასასრულ, ბაღის „კურსდამთავრებულ“ გოგონებსა და ბიჭებს დაურიგდათ (საზეიმო ვითარებაში გადაეცათ!) ვარდისფერგარეკანიანი ლამაზი „დიპლომი“ წარწერით „პირველი საგზური“, რომლითაც გზა დაელოცათ სკოლისაკენ, საერთოდ, ახალი — XXI საუკუნის ფართო ასპარეზისაკენ, — დაე, კეთილად დაებედოთ მათ ეს პირველი ცხოვრებისეული საგზური, ყოველმხრივ ბედნიერად და წარმატებით ევლოთ ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფართო შარაგზაზე.

რამდენიმე დღით ადრე საზეიმოდ ჩატარდა გამოშვება აგრეთვე მეორე უფროს ჯგუფში (აღმზრდელი მასწავლებლები გუგული ანთაძე, ლია ტრაპაიძე, მომვლელი ნინო ყანდიაშვილი), რომელიც წარიმართა კონკრეტულ თემაზე, — მიეძღვნა დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის ხსოვნას (მისი დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდობა — იმედი ხვალის!

## კვლავაც გამარჯვებები ყოფილიყოს მათი მეგზური!



რედაქციაში მრავლად მოდის წერილები, რომელთა ავტორები გამოთქვამენ თავიანთ მოწონებას ამა თუ იმ პიროვნების ან ორგანიზაციის, კოლექტივის მიმართ, არ იშურებენ გულწრფელ, თბილ სიტყვებს მათზე.

ასე იყო ამჯერადაც, როცა შემოსული ბარათის კვალდაკვალ ახლოს გავეცანით ერთ ლამაზ კოლექტივს, - იგი ბავშვთა (სკოლამდელი ასაკის) და მოზარდთა ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „მანანური" გახლავთ, რომლის ხელმძღვანელები არიან აჭარის სახელმწიფო ანსამბლისა და ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის დამსახურებული მოცეკვავე - მსახიობი, ქორეოგრაფი მანანა მაკარიძე და ნუკრი ღლონტი, ანსამბლის მუსიკოსები - ზაზა სიმონიშვილი, ემზარ მამალაძე და ლევან გურგენიძე.

ანსამბლი სულ სამი წელია, რაც შეიქმნა ჩვენს ქალაქში, მაგრამ საზოგადოებამ უკვე კარგად გაიცნო და შეიყვარა იგი. ამიტომაა ყოველთვის ასეთი ხალხმრავლობა სააქციო საზოგადოება „ასკანიტის" ბაგა-ბაღის შენობაში, რომელშიც ამჟამად აქვს დადებული ბინა ანსამბლს, სანამ მის ხელმძღვანელებს შევხვდებოდი, მანამ ორიოდე სიტყვით მისაღებში მშობლებს გავესაუბრე. აი, რა გვითხრა ნონა კილაძემ:

-ძალიან კარგი, მართლაც რომ შესანიშნავი ანსამბლია. ქალბატონი მანანა და ბატონი ნუკრი თავიანთ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული და მაღალპროფესიონალი სპეციალისტები არიან. ნორჩ მოცეკვავეთა მშობლებსაც ყველანაირად გვიწევენ შეღავათს; თუნდაც ფორმების შეკერვა ავიღოთ. ქალბატონი მანანა თავად უკერავს ფორმას თავის მოსწავლეებს. ვიცით, რომ იგი ღამეებსაც ათენებს თავის ანსამბლზე ფიქრში. განუწყვეტლივ ზრუნავს იმაზე, რომ მისი მოსწავლეები მხოლოდ ცეკვაში კი არ დაოსტატდნენ, ყველასათვის ყოველმხრივ მისაბაძნი იყვნენ. შეხედეთ, ამ გოგონებს და ბიჭებს, აქ როგორ მოუხარიათ, რა ხალისით ეუფლებიან ცეკვის ილეთებს, ასწავლიან ერთმანეთს.

ნათია ბარამიძემ კი დაამატა

- რა უნდა გითხრათ, გარდა იმისა, რომ დიდად კმაყოფილები და მადლიერნი ვართ; და განა ერთი ან ორი, ყველა მშობელი ასე ფიქრობს, ამიტომაც არის, რომ ასე იზრდება ანსამბლის ყველა ასაკის ბავშვთა ჯგუფების მონაწილეების რიცხვი.



მშობლებთან საუბარში გაილია დრო, მეცადინეობაც დამთავრდა და ბატონ ნუკრის ვთხოვე, მოკლედ მოეთხრო ანსამბლის შესახებ.

- 1997 წელს ჩამოყალიბდა ანსამბლი „მანანური". თავდაპირველად აბრეშუმის ფაბრიკის კლუბში მიმდინარეობდა მეცადინეობები, შემდეგ კი აქ გადმოვედით. არ იქნა და არ გამოიყო ჩვენთვის ბინა. უბინაობა კი, მოგეხსენებათ, ძალიან ძნელია, რაც არ უნდა მიზერულ თანხას იხდიდე, მაინც... მით უმეტეს, როცა ცალ-ცალკე გიხდება საკმაოდ მრავალმონაწილიანი სხვადასხვა ასაკის ჯგუფთან მეცადინეობის ჩატარება.

1998 წელს ოზურგეთში ჩატარდა გიორგი სალუქვაძის სახელობის ფესტივალი, მაშინ ჩვენი ანსამბლი საკრებულოს პრიზის მფლობელი გახდა. შემდეგ კი 1999 წელს, თბილისის განათლების ესთეტიკურ ცენტრში ჩატარებულ ფესტივალზეც გავიმარჯვეთ. ჟიურიმ, თენგიზ სუხიშვილის თავმჯდომარეობით, პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭა ჩვენი ანსამბლის ცეკვას „ქალთა მოხეურს" და მეორე - ცეკვა „სამაიას".

რამდენიმე თვის შემდეგ ოზურგეთში ჩატარდა "ჯიფას" რეგიონალური ფესტივალი, შედეგად წილად გვხვდა ბედნიერება გალაკონცერტით გამოვსულიყავით თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიაში.

წელს საგასტროლოდ ვიყავით წასულები რუსეთში, კრასნოდარში, ბავშვთა ხალხური საკრავების ანსამბლ „ედელვაისთან" ერთად. ანსამბლის ხელმძღვანელი იური ჩიხლაძე დიდებული მასწავლებელი და მართლაც შესაშური ენთუზიასტია. შეხმატკბილებულად გამოვედით და დიდი წარმატება გვხვდა წილად. ძალზე დასანანია, რომ ჩვენ მიწვეულები ვიყავით არა როგორც კონკურსის მონაწილეები, არამედ როგორც საპატიო სტუმრები საქართველოდან. ჩვენი კონცერტის შემდეგ აკადემიური ანსამბლის ხელმძღვანელმა ვიქტორ ზახარჩენკომ აღნიშნა, რომ კრასნოდარში ცხრა წელიწადია ტარდება ტრადიციულად ეს ფესტივალი და ასეთ ანსამბლს ჯერ მონაწილეობა არ მიუღია მასში. შემდეგ მიგვიწვიეს ქ. აფშერონში. რომელიც კრასნოდარიდან 120 კილომეტრით არის დაშორებული. ამ ქალაქში 150-მდე ქართული ოჯახი ცხოვრობს. ძალიან თბილად მიგვიღეს და გვიმასპინძლეს. იქაც ჩავატარეთ საქველმოქმედო კონცერტი. წელს სექტემბერში ტარდება „აფშერონის დღეები", რომელზედაც საგანგებოდ მიგვიწვიეს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქის მერს ბატონ ზაურ ქობულაძეს, განათლების განყოფილების გამგეს ბატონ თემურ მოქიას და კულტურის სამხარეო სამმართველოს უფროსს ბატონ კახა კასაძეს. რომლებიც შეძლებისდაგვარად ახერხებენ ჩვენს დახმარებას. მადლობას ვუხდით, აგრეთვე, მშობლებს. რომელთა ძალისხმევით და ხელშეწყობით ვაღწევთ ასეთ წარმატებებს, და ქალბატონ ვერიკო ვასაძეს, ბავშვთა ბაღის გამგეს, რომელმაც გამონახა საშუალება და დიდი დარბაზი დაგვითმო.

ჩვენს ანსამბლში 90 ბავშვია გაერთიანებული, ხალხურ ცეკვებთან ერთად მოზარდებს კლასიკურ ცეკვებსაც ვასწავლით. - გვითხრა ბატონმა ნუკრიმ.

- სხვა რა ვთქვა, დანარჩენს, ახალს, ჩვენი აწინდელი საქმეები იტყვიან.

ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, ახალი წარმატებები ვუსურვოთ ანსამბლ „მანანურს", მუდამ გამარჯვებები და სიხარული ყოფილიყოს მისი მეგზური.

**ნინელი კალანდაძე.**

## დღე, რომელიც არასდროს დაგვავიწყდება

ერთი მრავალშვილიანი დედაა საქართველო, შვილები კი დასტურ მრავალნი და თანაც ერთმანეთზე გულადი და პურადი ვყავართ; წარსულში დაუძინებელ მტერთაგან გარშემორტყმულ თითოეულ კუთხეს თავისი პატარა ისტორია აქვს, ფარივით იდგნენ ისინი ერთმანეთზე მინდობილმიუუდებულნი და ასე ლეწდნენ თავის სიკვდილ-სიცოცხლის კალოს.

და დღეს, ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ისტორიულ სოფელში ვართ, სოფელში, რომელმაც 1757 წელს ყველაზე დიდი ბრძოლა გადაიხადა დასავლეთ საქართველოში. ამ განწყობით ვეწვიეთ იმ დღეს ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილის უშანგი ობოლაძის სახელობის საშუალო სკოლას.

ყველაფერი ასე დაიწყო: ამ სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა წერილი გამოგვიგზავნეს, გაცნობას და მეგობრობას გვთავაზობდნენ. ჩვენც წერილებით ვუპასუხეთ და დიდად გაგვიხარეთ, როცა მათგან მიპატიჟების ბარათი მივიღეთ.

ვარდობისთვის ერთ მზიან დილას ჩვენი კლასის ხელმძღვანელის მედეა ობოლაძის მოთავეობით სკოლის პედაგოგებთან ერთად ხრესილს ვესტუმრეთ. შეხვედრა იყო მეტად თბილი და გულითადი. ჩვენმა მასპინძლებმა წაგვიყვანეს ხრესილის ომის ადგილზე. კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ამ ომის ისტორია. შთაბეჭდილებებით სავსენი დავბრუნდით სკოლაში, რომელიც უშანგი ობოლაძის სახელს ატარებს. დავათვალიერეთ ამ ღირსსახსოვარი მამულიშვილის — საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილის, პროფესორის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის კაბინეტ-მუზეუმი.

იმ დღეს არავის მოუწყენია, — შეხვედრის ზეიმში ჩაერთო ყველა — სტუმარი და მასპინძელი, მასწავლებელიც და მოსწავლეც, ერთმანეთს ცვლიდა ლექსი და სიმღერა, გულწრფელი სიტყვები. ისე შევეთვისეთ ერთმანეთს, გვინდოდა შეხვედრა არ დასრულებულიყო. ცრემლმორეულები გამოვემშვიდობეთ ჩვენს მეგობრებს, იმ იმედით, რომ კვლავ შევხვდებოდით.

ჩვენი კლასის სახელით მადლობას ვუხდით ხრესილის უშ. ობოლაძის სახელობის საშუალო სკოლის დირექციას (ნანა გაბრიაძე, ია გიორგაძე - ობოლაძე), IX კლასის ხელმძღვანელს ლალი ძოწენიძეს, მადლობა ნარუჯის საშუალო სკოლის დირექციას (დირექტორი გოჩა ცაგარეიშვილი, ორგანიზატორი ნინო ტალახაძე) და ჩვენი კლასის ხელმძღვანელს მედეა ობოლაძეს, რომელთა უშუალო ინიციატივით მოეწყო ეს ლამაზი და დაუვიწყარი შეხვედრა.

**ნატო ცეცხლაძე,**
**ბესიკ შაინიძე,**
*დაბა ნარუჯის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები.*

## ოცდაორ ივნისს ომი დაიწყო...
### (ეს აღარ უნდა განმეორდეს!)

„ოცდაორ ივნისს ომი დაიწყო," - ასე იწყებდა მატარებელში სიმღერას ერთი ინვალიდი- ცალხელა და კოჭლი. ეს სამამულო ომის მომდევნო წლებში იყო.

ჟრუანტელს გვრიდა მსმენელებს მისი ნაღვლიანი ხმა და მწუხარე სიტყვები: ახალგაზრდა, დედისერთა, უცოლშვილო წავიდა ომში. რამდენი უბედურება გადახდა თავს! დამახინჯებული დაბრუნდა ოჯახში, მაგრამ სადღა იყო ოჯახი?!. აღარც დედა, აღარც მამა...

დადიოდა ასე ვაგონიდან ვაგონში მარტოხელა კაცი, ხალხს დახმარებას თხოვდა. თუმცა მღეროდა არა იმდენად დახმარებისათვის, რამდენადაც იმისათვის, რომ ყველას გაეგო, რა -არის ომი, რა გამოიარა ქვეყანამ, რა საშინელება გადაიტანა ხალხმა, რამდენი უბედური ოჯახი დარჩა ქვეყნად უმამოდ, უშვილოდ, უპატრონოდ...

უსმენდნენ ამ ჩახლეჩილი, გაბზარული, ცრემლნარევი სიმღერის ჰანგებს და გულში ათასგვარი მწუხარება და ნაღველი უტრიალებდათ: ვის შვილი აგონდებოდა, ვის ქმარი, ვის და-ძმანი, ვის ახლო ნათესაობა. განა იყო ვინმე გამონაკლისი?

მე, იმავე ცეცხლსა და უბედურებაში გამოვლილ კაცსაც, მიახლდებოდა მწარე განცდები, - მე ხომ იქ, საზღვარზე გავიგონე ეს შემზარავი სიტყვები: „ომი დაიწყო... Война!"

გაოგნებული ვუსმენდი და მაგონდებოდა მამაჩემის სიტყვები: „ცუდი დრო მოგველის, შვილო, უსათუოდ ომი მოგიწევს... მაგრამ რას იზამ, შენი ხვედრი ყოფილა ასეთი (მე ხომ ჩემი ძმის - სანდროს მაგივრად წავედი ჯარში), სირცხვილი არ მაჭამო, შვილო!.." ასე დამმოძღვრა მამამ ჯარში წასვლის დღეს.

იმ მწუხარე სიმღერამ თვალწინ დამიყენა ყველაფერი, კინოლენტივით გაიარა მეხსიერებაში ოცდაორი ივნისი, ბრძოლები ბრესტში, უკანდახევა, ტყვეობა ერთხელ, მეორედ, ბრძოლები უკრაინაში, კავკასიის დაცვა, აღმოსავლეთ პრუსიაში შესვლა, პოლონეთის განთავისუფლება, ბრძოლები ბერლინის აღებისათვის და ომის დამთავრების ზეიმი ჩეხოსლავაკიაში!

დიდი სტალინის მადლობები ამიფრიალდა თვალწინ; მადლობას გვიხდიდა მთავარსარდალი, რომ მისი საბრძოლო დავალებები პირნათლად შევასრულეთ.

ორი ჭრილობა, ორი ტყვეობა, ორი გაქცევა... და კიდევ ორი წელი ომისშემდგომი სამსახური ჯარში.

საიდანაც დავიწყე ჯარში სამსახური, იქიდან დავბრუნდი სახლში! ქ. ბრესტ-ლიტოვსკიდან, 1946 წელს.

ბრესტ-ლიტოვსკი — ძლიერი ციტადელი. (შემდეგაც მოვინახულე იგი, ამჟამად უკვე აშენებული, დამშვენებული, დიდი საბრძოლო მუზეუმით, განახლებული სიმაგრეებით. კმაყოფილების გამომხატველი სახეებით გამომზირალი ადამიანებით).

ჰოდა, ვზივარ ახლა „ბათუმ-მახარაძის" მატარებლის ღია ვაგონში და მესმის ეს გულის დამწველი სიმღერა. სიმღერა კი არა, მოთქმაა, გოდებაა დედებისა, ვინაც იქ შვილები დაჰკარგეს, ქვრივებისა, ვისი ქმრებიც იქ დარჩნენ სამუდამოდ, შვილებისა, მამების ნახვას რომ ველარ ეღირსნენ, ქალიშვილებისა, ვისაც გულის სწორები არ დაუბრუნდათ...

უვნებელი არავინ დაბრუნებულა, ყველას გაჰკრა ურჩხულმა თავისი შხამიანი კბილი (მე ახლაც ორი ნამსხვრევი მაქვს სხეულში), ჩვენ, იღბლიანები, ჯანმრთელობაშერყეულნი, მაგრამ მაინც დავბრუნდით სახლებში. ცხოვრება გრძელდება, მაგრამ სამშობლოსათვის დაცემული ის ოცი მილიონი?

ვფიქრობ ყოველივე ამაზე, მატარებელი ბორბლების გრუხუნით მიიწევს წინ, მომღერალი კი განაგრძობს: „ოცდაორ ივნისს ომი დაიწყო"...

აჩაღებენ ხან ცივ, ხან ცხელ ომებს. იპყრობენ ხალხებს, უსისიანებენ ერებს ერთმანეთს, ქმნიან ეთნოკრიზისებს და ეთნოკონფლიქტებს.

ჩვენ, ქართველები, რის ქართველები ვართ, თუ სხვას არ ვაჯობეთ, შევქმენით ეთნოკრიზისები და გავაჩაღეთ ეთნოკონფლიქტები. გავხლიჩეთ ჩვენი პატარა საქართველო, დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩვენს იურისდიქციას არ ემორჩილება ჯავახეთი — იქ ჩვენი ლარი არ ფულობს. გვებუტება აჭარა, გვემდურის სამეგრელო, ავივსეთ ლტოლვილებით, მივდექით რუსეთს და ხელგაშლილი ვხვდებით თურქეთს. ვეხუტებით ამერიკას და გერმანიას, ვასაზრდოებთ სიონიზმს... და დემოკრატიის ცრუსაფარქვეშ ვქმნით ბურჟუაზიულ სამოსელში გამოწყობილ ანტიდემოკრატიას, თავისუფალი დამოუკიდებელი ქვეყნის მაგივრად კი ამერიკის კოლონიად ვიქეცით. ჯაჭვზე გამობმული მურაძაღლივით გვათრევს, საითაც მოესურვება. ბორჯომის წყლის ბოთლის ეტიკეტზეც კი გამოვხატეთ ამერიკისადმი „უსაზღვრო" სიყვარული; ეტიკეტის თავში ჯერ ინგლისურად (მოგეხსენებათ ამერიკული ენა არ არსებობს) აწერია „ბორჯომი" და შემდეგ ქართულად.

ასე ვიცით ჩვენ, მაგრამ „ვაი ძველის გამგდებს და ახლის მაძიებელს".

...ახლაც ჩამესმის ყურში ხრინწიანი ხმა იმ მომღერლისა, ომიდან დაბრუნების შემდეგ, სტუდენტობის დროს მატარებელში მოსმენილი სიმღერისა: „ომი დაიწყო!.."

იგი აღმიძრავს მძიმე ფიქრებს: რა ეშველება ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს, თუ კიდევ განმეორდება 22 ივნისი?!.

**ვარდენ მენაბდე.**

## დავიწყებულ მეომართა გულისტკივილი
### (მწარე სიმართლე)

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ აფხაზეთში ბრძოლა (და არა ომი) წაგვაგებინეს. ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ მძიმე და გაურკვეველ სიტუაციაში გვიხდებოდა ბრძოლები.

ჩვენი მეომრები, ხშირ შემთხვევაში მაღალი ჩინის სამხედროებიდან განწირულები და უმეთაუროდ დარჩენილები, უაზრო და უსისტემო ბრძოლებს მართავდნენ, რასაც უამრავი ჩვენი თანამემამულე შეეწირა.

უმრავლესობა აფხაზეთის ტრაგედიის მონაწილეთა თუ მოწმეთაგან, ცოცხლად დარჩენილები (მათ შორის, მრავალი ხეიბარი), თავგანწირვით რომ იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, უმუშევარი და ხელისუფლებისაგან ყურადღება მიუქცეველნი, გარიყულები დარჩნენ. ისინი კი, ვინაც ომის დროს თბილად ეძინად და არც დუბაისა და ანტალიაში ვოიაჟებს იკლებდნენ, და მათი ოჯახების წევრები, ჩალის ფასად ყიდულობდნენ და ყიდდნენ ხალხის ქონებას, ეუფლებოდნენ მის ანაბრებს და ა.შ. ბევრი მათგანი თანდათან მოვიდა სახელმწიფო სტრუქტურებში და დღეს არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ქვეყნის, მოსახლეობის წინაშე.

ჩვენ ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიბრძოდით საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის, ჩვენი და ჩვენი მომავლის ბედნიერებისათვის. მაგრამ რა გამოვიდა ამ ბრძოლიდან? უამრავი სისხლი დაიღვარა, დიდი მსხვერპლი იქნა გაღებული, დავკარგეთ სამშობლოს ტერიტორიის თითქმის მესამედი, რაზედაც რბილ სავარძლებში მოკალათებული არაერთი მედროვე სინანულსაც არ გამოთქვამს. უფრო მეტიც, ისინი, ვინც დღეს განცხრომით ცხოვრობენ, ქვეყნისა და ხალხის მილიონები აქვთ მითვისებული, არ აძლევენ სახელმწიფოს საშუალებას დაარიგოს პენსიები და ხელფასები.

საქართველოს პრეზიდენტმა ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას, მაგრამ მაგრამ, სამწუხაროდ, თავად ისეთ უწყებებსა და სამსახურებში, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ (ან ვის არ ევალება!) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, არაერთი კორუმპირებული პირია მოკალათებული! რა გამოდის? ისინი საკუთარ თავს გამოუცხადებენ ბრძოლას?!

ისე არ გამიგოთ, თითქოს ხელისუფლებაში მოხვედრილ წესიერ ხალხს (რომელთა რიცხვი, საბედნიეროდ, საკმაოდ დიდია) აღნიშნულ მედროვეებსა და ცრუპატრიოტებთან, თვალთმაქც ვაიქართველებთან ვაიგივებდე. გულისტკივილს გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ისინი, ვინც ქვეყნის ბიუჯეტს იპარავენ და ანიავებენ, ჩვენზე, ვეტერან მეომრებზე უარყოფით აზრს ქმნიან. სათქმელი, შეიძლება, მართლაც მოიძებნოს, - ჩვენშიც ერივნენ ისეთები, ვინც მეომრისათვის უკადრის საქმეს სჩადიოდა, საზოგადოების აღშფოთებას, გულისწყრომას იმსახურებდა, მაგრამ ჩვენ, ქვეყნის ერთიანობისათვის ერთგულად, თავგანწირვით მებრძოლებმა, რა დავაშავეთ, კარგისა და ცუდის გარჩევა რატომ არ უნდა ხდებოდეს?

დადგა დრო, საქართველოს კეთილდღეობისათვის ყველა პატრიოტი, ჩვენი ქვეყნის ყველა ჭეშმარიტი შვილი გაერთიანდეს. წინ აღვუდგეთ განუკითხაობას და სიბინძურეს. იყიდება, ჩანაგდება საქართველო, მისი ყველა კუთხე, ყოფილ საზოგადებრივ ქონებას, ქვეყნის სიმდიდრეს ათიოდე კაცი დაეპატრონა.

ნუ გავამარჯვებინებთ გარეწრებს, საქართველოს მტრებს. ამავე დროს, ჩვენ კარგად გვესმის, რომ პატიოსან ბიზნესმენებს, მრეწველებს, კომერსანტებს თანადგომა, მხარდაჭერა სჭირდებათ (და არა შევიწროება, დევნა, გასაქანის არმიცემა...) რადგანაც ისინი ქვეყნისათვის, ხალხისათვის საჭირო, სასარგებლო საქმეს აკეთებენ.

ჩვენ არა ვართ საქართველოს პრეზიდენტის, ხელისუფლების მოწინააღმდეგეები. პირიქით, სურვილი გვაქვს გვერდში ერთგულად დავუდგეთ, გულწრფელად ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას, გამოვადგეთ მას. ამისათვის კი სულაც არ მოვითხოვთ ბევრს, რაღაც განსაკუთრებულს, მოვითხოვთ მხოლოდ საარსებო წყაროს, ადამიანურ სითბოსა და ყურადღებას, გულისხმიერებას.

ჩვენ სხვაგვარად გვი ვარს ჩვენი სამშობლო, ვიდრე უსინდისოდ გამდიდრებულ, ფულით გაქსუებულ ხაზინის ქურდებს. გვიყვარს ისე, როგორც დიდმა წინაპრებმა, ღირსეულმა ქართველებმა გვიანდერძეს.

ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც, მიუხედავად გამწარებისა და უსამართლოდ მოყენებული გულისტკივილისა, კვლავაც მზად ვართ, თუ აუცილებელი დარჩა, საკუთარი სისხლის ფასად, ბრძოლით დავიბრუნოთ აფხაზეთი და სხვა დაკარგული ტერიტორიები. მაგრამ ეს სხვა ბრძოლა იქნება - ახლო წარსულის მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით, თეთრისა და შავის, გარჩევით, ავისა და კარგის სწორად გაგებით, ნამდვილი პატრიოტიზმით, თანადგომით, ღირსეული კადრების ჭეშმარიტად დაფასებით.

იქნებ რაიმე იგრძნონ მედროვეებმა!

**მურთაზ აბაშიძე.**
*ოზურგეთის ვეტერან მეომართა კავშირის თავმჯდომარე.*

# ნუ გაჩეხავ, დარბე!

(ტკივილიანი კოლორიტი)

*ტყეებისა და გარემოს მწვანე საფარის დაცვა რამდენიმე ათეული წელია ჩვენი გაზეთის აქტუალურ თემას წარმოადგენს. ამ თემაზე წერილები ქვეყნდებოდა რუბრიკით „ნუ გაჩეხავ, დარბე!" ტყეების მოვლა და დაცვის საკითხი დღეისათვის კიდევ უფრო აქტუალურია. ამიტომ დღევანდელი ნომრიდან ამ რუბრიკას ახალ სიცოცხლეს ვანიჭებთ.*

ალბათ, ბევრ თქვენთაგანს ახსოვს ის აზრთა სხვადასხვაობა და გაუთავებელი დებატები საბჭოური პერიოდის 80-იანი წლების შუა ხანებიდან, რაც ტრანსკავკასიური გვირაბისა და რკინიგზის პროექტსა და ხუდონჰესის მშენებლობის დაწყებას მოჰყვა; ქვეყნის ახალგაზრდა ეროვნული ძალები, მაშინ რომ იწყებდნენ ასპარეზზე გამოსვლას, ირწმუნებოდნენ, და ასაბუთებდნენ კიდეც, რომ ასეთი მასშტაბური მშენებლობანი ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა ქვეყანას, რომ მათ შეეწირებოდა იმ რეგიონების თითქმის ხელუხლებელი მწვანე საფარი, გაჩანაგდებოდა ტყეები, თავს იჩენდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უამრავი ეკოლოგიური პრობლემა! მაშინ სხვადასხვა თაობათა წარმომადგენლების ერთიანმა საღმა აზრმა, ძალისხმევამ იძალა და გაიმარჯვა კიდეც!..

ახლა, როცა 90-იანი წლების პირველ პერიოდში ქვეყნის დამოუკიდებლობას მივაღწიეთ, სად გაქრა ამ ადამიანთა ერთიანობა და საღი აზროვნება? რატომ დააყენეს მათ ქვეყნის სასიკეთო საქმეებზე მაღლა პარტიული და პირადი ამბიციები? რატომ დაცხრა თითოეული მათგანის პრინციპულობა და ომახიანობა, როცა საქართველოს ტყეებს, მწვანე ნარგავებს ერთიანი ძალით შეუტიეს ბრაკონიერებმა, ცულიანმა და უცულო ტყის ყაჩაღებმა, რომელთა ძალისხმევას შეეწირა მრავალწლოვანი და მრავალმნიშვნელოვანი ჯიშთა სახეობანი, მორებად ქცეული შავი ზღვით უცხო ქვეყნებისაკენ რომ გაუყენეს გზას (სამწუხაროდ, დღესაც ასე გრძელდება)...

ჩვენს მეხსიერებას დღესაც შემორჩა იმ წლებში უშუქობით ჩაბნელებულ ოზურგეთის ქუჩებში, ნაშუაღამევს როგორი გრუხუნით ჩაივლიდნენ ვეებერთელა, ჯიშიან ხეთა მორებით დატვირთული „კამაზები" და ტრაილერები, სარფისა და ფოთის საბაჟოებისკენ რომ ჰქონდათ კურსი აღებული. სად იყვნენ მაშინ ან ხელისუფალნი, ან შესაბამისი უწყებების მესვეურნი?..

მაშინ და დღესაც ამ „შავი ბიზნესით" მავანმა და მავანმა კარგად მოითბეს ხელი... სამაგიეროდ, „ამა საქმეთა ქმედებისათვის, დასჯილნი კი იშვიათად თუ გვგვიგია...

„მორების კარიერს" ჩვენი დასახლებიდან, ბახმაროსა თუ გომის მთის გზების უბნებიც ვერ გადაურჩნენ... სწორედ აქედან მოედინებოდა ჩვენი ქალაქის „მაღვიძარა", მძიმეწონიანი ქარავნები... სავალალოდ, ამ ხმაურს ჩვეულებრივ მოკვდავთა ხვედრიანი გულისტკივილი თუ აცილებდა: „გაიყიდა, საქართველო გაიყიდაო!" გამკითხავი კი არსაიდან ჩანდა!..

განა არ ვხედავთ, რა დღეშია ოზურგეთის შემოგარენი? ლაითურისა და ნასაკირალისაკენ მიმავალ გზებზე ამოძირკვულ ჩაის პლანტაციებს გვერდს „უმშვენებენ" ოდესღაც ცადაზიდული, ახლა კი გულდამთუთქველად, უმოწყალოდ გაჩანაგებული სხვადასხვა სიმაღლეზე გადაჩეხილი რცხილა და წიფელი, წაბლი და აკაცია, წიწვოვანი ხეები.

უშუქო და უსათბობო ზამთარმა ადამიანებს შეშის პრობლემა გაუჩინა.. ამიტომ ზოგირთმა უსახსრებო სოფლელმა კაცმა, სიდუხჭირის გამო სულაც რომ აღარ ახსოვს შესანიშნავი ქართული სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსაო", ნაჯახს და ხერხს წამოუსვა ხელი, ტყეში თუ გზისპირებზე გავიდა, წვრილად დახერხილი და დაჩეხილი შეშით ცხენიანი მომცრო საზიდარი პირამდე აავსო და ქალაქისაკენ გამოსწია, რითაც ოზურგეთს XX საუკუნის დამლევს კიდევ ერთი ტკივილიანი კოლორიტი შეხძინა.

ქალაქიც ვერ გადაურჩა ცულიან „დრუჟბიან" ბრაკონიერებს, რომლებმაც ათი წლის მანძილზე თითქმის გაანახევრეს მისი მწვანე ნარგავები. ჯერ იყო და, უფრო ადრე, ყველამ თავისი სურვილითა და გემოვნებით შეუტიეს ყოფილი 1905 წლის თუ სხვა ქუჩების მსხვილტანიან ჭადრებს... განსაკუთრებით ბევრი ნარგავი გამოაკლდა ამჟამად უკვე გაპარტახებულ და დანგრეულ კულტურისა და დასვენების პარკს... ხოლო მის გვერდით, გოგებაშვილის ქუჩის დასაწყისიდან, №4 საშუალო სკოლის პირდაპირ გაშენებული ორმოცამდე ჭადრის ლამაზი მწკრივიდან დღეს მათი გადანაჩეხიც აღარაა შემორჩენილი; ასევე ბევრი წიწვიანი და ფოთლოვანი ხე გამოაკლდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩას... ამ დღეებშიც ბევრს გული დასწყვიტა ქალაქის ცენტრში, სასტუმროსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შორის გამავალი დაღმართი ერთიანად რომ გატიალდა, რადგან ასფალტის დონეზე, ძირში გადაიჭრა მარტოსულად შემორჩენილი ვეებერთელა ცაცხვის ხე... ამაოა მავანთა სიმშვიდე, „ცაცხვს ძირში ფულური შეეპარაო", – ცაცხვი მკვრივმერქნიან მცენარეთა ჯიშს მიეკუთვნება და იგი კარგახანს ისულდგმულებდა ადამიანთა გასახარად. მერედა რა ლამაზი, ფართოდ მხრებგაშლილი იყო ის დალოცვილი, ყვავილობის ხანს საამო არომატით რომ ავსებდა იქაურობას!..

თუ ასე გავაგრძელეთ და ყველამ პირში წყალი ჩავიგუბეთ, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ვინმე გადელებულმა ბრაკონიერმა ჭადრების ბაღზეც მიიტანოს იერიში... და ცადატანილი ვეება თეთრი ხე მძლავრი ტოტებით თეატრალურ მოედანს დაახეთქოს!..

ადამიანები ბუნების შვილნი ვართ და ბუნებას უნდა მივხედოთ, მოვუაროთ გარემოს, „მწვანე ფილტვებს" ჩვენს ერთგულ მეგობრებს ნუ გადავაქცევთ ჩვენი ადგილის ტკივილიან მოგონებად!

**ელგუჯა შევარდნაძე.**

*პრესკონფერენცია*

# მძღოლების გაფიცვა დაცხრა

როგორც გაზეთი „ალიონი" იუწყებოდა (№12, 19 მაისი), გარკვეული მოთხოვნებით გაფიცვა მოაწყვეს ოზურგეთი-ბათუმის და ოზურგეთი-ქუთაისის ხაზზე მომუშავე მიკროავტობუსების მძღოლებმა, გაფიცვა 17 დღეს გაგრძელდა. ამ პერიოდში პრობლემის დასარეგულირებლად მძღოლებს შეხვდნენ და ესაუბრნენ რაიონის გამგებელი ავთანდილ ღელეყვა, ტრანსპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენელი ზაზა ჩხიკვიშვილი, სააქციო საზოგადოება „ტრანსსერვისის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნაკაიძე.

ბატონმა ლევან ნაკაიძემ გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პრესსამსახურის ინიციატივით ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა. როგორც მან განმარტა, ამის მიზანი მასმედიისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება გახლდათ.

მისი თქმით, ოზურგეთი-თბილისი, ოზურგეთი-ბათუმი, ოზურგეთი-ქუთაისისა და ოზურგეთი-ფოთის ხაზზე გამოცხადებული ტენდერი სწორად ჩატარდა. სააქციო საზოგადოება „ტრანსსერვისი" ყველა მარშრუტზე მონაწილეობდა კონკურსში. ოზურგეთი-თბილისის ხაზზე მონაწილეობდა ასევე შპს „ჯორჯია-91", ხოლო ოზურგეთი-ბათუმის ხაზზე – ოზურგეთის ავტოსადგური.

ტენდერის პირობებში ერთ-ერთი მუხლი გადამწყვეტი ინტელექტუალური პოტენციალი და ტექნიკური ბაზა გახლდათ, რამაც, სხვა მონაცემებთან ერთად, განაპირობა სააქციო საზოგადოება „ტრანსსერვისის" ტენდერში გამარჯვება.

იმის გამო, რომ „ტრანსსერვისს" მიკროავტობუსები არ ჰქონდა, გაფორმდა ხელშეკრულებები მიკროავტობუსების მფლობელებთან. თუკი ვინმემ არ მიიღო ტენდერში მონაწილეობა, ეს მათი მიზეზით მოხდა და არა „ტრანსსერვისისა".

გაფიცულ მძღოლთა ერთ-ერთი მოთხოვნა გაზრდილი გადასახადების შემცირების შესახებ, ლ. ნაკაიძემ ასე განმარტა, ვიღაცას არ სურს თავისი შემოსავლების შემცირებაო. ასევე, შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მძღოლთათვის 5-წლიანი ხელშეკრულების გაფორმებას. ტენდერში გამარჯვებული 5-წლიანი სერთიფიკატი მიიღო სააქციო საზოგადოებამ და არა ცალკეულმა მძღოლებმა.

ლ. ნაკაიძემ ასევე მოიყვანა არგუმენტები გაფიცულ მძღოლთა სხვა მოთხოვნების საპასუხოდ (მან პრესკონფერენციის მონაწილეებს შესაბამისი წერილობითი პასუხი გააცნო).

ტელეკომპანია „გურიის" შემოქმედებითი დირექტორის თემურ მარშანიშვილის შეკითხვაზე, თუ რატომ იყო უკანონო შპს „დათო", რომელშიაც მუშაობდა გაფიცულ მძღოლთა უმრავლესობა, ლ. ნაკაიძემ უპასუხა, რომ ფირმა „დათოს" არ გააჩნდა არც რაიონული გამგეობის, არც ქალაქის მერიის ნებართვა...

გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პრესსამსახურის უფროსმა ლელა თავართქილაძემ, ტელეკომპანია „გურიის" კორესპონდენტმა მირზა მიქატაძემ, გაზეთ „ალიონის" რედაქტორმა თამაზ სალუქვაძემ მგზავრთა მომსახურების საქმეში მრავალ საყურადღებო მომენტზე გაამახვილეს ყურადღება. მათ შეკითხვებს პასუხი გასცეს ლ. ნაკაიძემ და რაიონის გამგებლის მოადგილემ გია მამაკაიშვილმა.

გია მამაკაიშვილმა განმარტა, რომ „ტრანსსერვისი" 340 პედაგოგს და ვეტერანს ემსახურება უფასოდ (შესაბამისი თანხა 30 ათას ლარს შეადგენს), რაც შეეხება უმუშევრად დარჩენილ მძღოლებს, მათი საკითხი გადაწყდება ადგილობრივ (შიდასარაიონო) მარშრუტებზე ტენდერის შემდეგ.

ჟურნალისტმა როლანდ თავაძემ (გაზეთ „პოლიცია და საზოგადოების" რედაქტორი) აღნიშნა, დარბაზში მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები რომ ყოფილიყვნენ, ისინიც თავიანთი პოზიციის დასაცავად, ალბათ, საგულისხმო მოსაზრებებს და არგუმენტებს გამოთქვამდნენ. ასევე, საინფორმაციო სააგენტო „მეილ-ექსპრესის" კორესპონდენტმა გურამ კუნჭულიამ პრესკონფერენციას ცალმხრივი უწოდა და გამოთქვა აზრი, რომ, შესაძლოა, ამან სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბოსო.

ლ. ნაკაიძემ გ. კუნჭულიას „გაუმხელელი ინფორმაციით" უპასუხა.

მიკროავტობუსების მძღოლებთან ახალი ხელშეკრულებები დაიდო, რაზედაც გაფიცულთა უმრავლესობა დათანხმდა. ამ ხელშეკრულებით ისინი ვალდებული არიან თავად მოახდინონ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, ტრანსსერვისში კი შემოსავლის 10 პროცენტი შეიტანონ.

პრესკონფერენციის მეორე დღეს მძღოლებმა მუშაობა განაახლეს.

**ნუგზარ ახათიანი.**

*პენსიონერთა პროტესტი*

15 ივნისს, შუადღისას, პენსიონერთა ერთმა ჯგუფმა ოზურგეთის რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზი გადაკეტა. ისინი თვეების მანძილზე აუღებელი პენსიების მიღებას მოითხოვდნენ და იმუქრებოდნენ, რომ არ გაატარებდნენ ოზურგეთი-თბილისის ჩქარ მატარებელს.

აქციის ადგილზე მოვიდნენ და პენსიონერებს ესაუბრნენ რაიონის გამგებელი ავთანდილ ღელეყვა. ქალაქის მერი ზაურ ქობულაძე და სხვა ხელმძღვანელები, რის შემდეგაც პენსიონერებმა აქცია შეწყვიტეს.

# განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გურიის მრავალპროფილიანი ინსტიტუტი** (ლიცენზია №00261549; 05.04.2000) აცხადებს მიღებას 2000-2001 სასწავლო წლიდან საშუალო სკოლის და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ბაზაზე, დასწრებული სწავლების ფორმით შემდეგ სპეციალობებზე:

1. *სახვითი ხელოვნება და ხელოვნებათმცოდნეობა*, რომელიც მოამზადებს საშუალო სკოლების სახვითი ხელოვნების მასწავლებლებსა და ხელოვნებათმცოდნეებს. სწავლების ვადა – 5 წელი.
2. *მათემატიკა-ინფორმატიკა*, მოამზადებს საშუალო სკოლების მათემატიკა-ინფორმატიკის მასწავლებლებს. სწავლების ვადა – 5 წელი.
3. *ისტორია-რელიგიათმცოდნეობა*, მოამზადებს ისტორია-ქრისტიანული კულტურისა და სადვთო სჯულის მასწავლებლებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
4. *ქართული ხალხური მუსიკა და საკრავები*, მოამზადებს ლოტბარებსა და ქართულ ხალხურ საკრავთმცოდნეებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
5. *სატელევიზიო ტექნიკა და კოსმოსური კავშირების სისტემები*, მოამზადებს ტელე-საკომუნიკაციო-საოპერატორო სისტემების ინჟინერ-მენეჯერებსა და კომპიუტერული სისტემების მართვის ინჟინერ-მენეჯერებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
6. *ჟურნალისტიკა (პრესა, ტელე-რადიო)*, მოაზადებს ჟურნალისტებს (სწავლების ვადა – 5 წელი), რადიოსა და ტელევიზიის ლიტერატორ-რედაქტორებს, ტელე-რადიო ჟურნალისტ-კომენტატორებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
7. *ტელე-რადიო რეჟისურა*, მოამზადებს ტელე-რადიო რეჟისორებს, ხმის რეჟისორებსა და მუსიკალურ გამფორმებლებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
8. *საკურორტო საქმის და ტურისტული მეურნეობის ეკონომიკა და მართვა*, მოამზადებს საკურორტო და ტურისტული მეურნეობის ორგანიზატორ-მენეჯერებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
9. *საფინანსო-საბანკო და საბირჟო საქმის ორგანიზაცია*, მოამზადებს საფინანსო-საბანკო საქმის ორგანიზატორ-მენეჯერებსა და საბირჟო საქმის ორგანიზატორ-მენეჯერებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
10. *დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა*, მოამზადებს დაწყებითი კლასის მასწავლებლებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
11. *პედაგოგიკა და ფსიქოლოგია*, მოამზადებს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებლებს, სახალხო განათლების დაწესებულებებისათვის პრაქტიკოს-ფსიქოლოგებს, საბავშვო ბაღის აღმზრდელებს. სწავლების ვადა – 4 წელი.
12. *უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, რუსული)*, მოამზადებს: ინგლისური, გერმანული და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს. სწავლების ვადა – 4 წელი.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სპეციალობის სტუდენტთათვის ინსტიტუტის ბოლო კურსზე გათვალისწინებულია *კომპიუტერული* სწავლება (სურვილის მიხედვით და დამატებითი გადასახადით).

გურიის მრავალპროფილიანი ინსტიტუტი ასევე აცხადებს მიღებას ცხრა კლასის კურსდამთავრებულთა ბაზაზე და სწავლების სამი წლის განმავლობაში საშუალო განათლებასთან ერთად მათ მისცემს შემდეგ სპეციალობებს:

1. რადიო-ტელე და ვიდეო აპარატურის ტექნიკოსი;
2. კომპიუტერული ტექნიკის ოპერატორი;
3. საქმეთა მმართველი – რეფერენტი (ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავებით);
4. მოდელირება (ჭრა-კერვა), ქსოვა, ქარგვა, მაკრამე, ხეზე კვეთა;

ინსტიტუტთან იფუნქციონირებს ერთწლიანი ფასიანი წრეები: *ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ინდკერვა და შეკეთება, კოსმეტიკა და სამკურნალო ჰიგიენა, ფოტომოდელირება.*

აბიტურიენტებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

- *დოკუმენტი განათლების შესახებ;*
- *4 ფოტოსურათი (3X4);*
- *ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.*

საბუთების მიღება იწარმოებს გურიის საოლქო სასკოლო სამმართველოში. მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №3, მე-2 სართული.

აბიტურიენტთა ჩარიცხვა, როგორც უმაღლესი, ასევე საშუალო სპეციალური განათლების მისაღებად მოხდება კონკურსის წესით (გასაუბრება, ტესტირება ცალკეული სპეციალობების მიხედვით). ცოდნა შეფასდება ქულებით.

განცხადებების მიღება დაიწყო 20 მაისიდან, გრძელდება 1 აგვისტომდე, დილის 11 საათიდან – დღის 3 საათამდე. გასაუბრება, ტესტირება – 5 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. ჩარიცხვა – 1 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

გურიის მრავალპროფილიან ინსტიტუტში სწავლება ფასიანია.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ☎. 6-49-02, 6-30-22, 6-52-92. ქ. ოზურგეთი №1 საშუალო სკოლის პირველი კორპუსი.

**მიმღები კომისია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 70 წელი შესრულდებოდა ქართველი პოეტის მორის ფოცხიშვილის დაბადებიდან (1930-1990)



**დაუწერელს**

ბოლოს და ბოლოს არც მე ვიქნები,
ბოლოს მომიღებს-ჟამი თავნება -
უცებ გავქრები თოვლის ფიფქივით,
ყოფნა არყოფნას დაემგვანება.

ცრემლს დამარჩენენ სინანულითა
და დამმალავენ სადღაც ლოდებით...
ჰოდა, ამოდი, ლექსო, გულიდან,
თორემ შენც ჩემთან ერთად მოკვდები!

*მორის ფოცხიშვილი.*

## სპორტი

ჭადრაკი

### მიხეილ ცენტერაძე ინარჩუნებს ვეტერანთა შორის ჩემპიონის წოდებას



ამ დღეებში დამთავრდა უკვე ტრადიციად ქცეული საჭადრაკო ტურნირი ქ. ოზურგეთის ვეტერან მოჭადრაკეთა პირველობაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, სასტუმრო „გურიის" დირექციის ოფისში ტარდება. ამჯერად ასპარეზობაში 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ახლაც, როგორც შარშან, პირველ ადგილზე გამოვიდა და ვეტერანთა შორის ქალაქის ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა მშენებელმა ინჟინერმა მიხეილ ცენტერაძემ.

მან 10 ქულა დააგროვა ( 10 მოგება და მხოლოდ 1 წაგება). მეორე-მესამე ადგილები 9,5-9,5 ქულით გაიყვეს მურმან დუნდუამ და ბეჟან ცეცხლაძემ.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ვეტერანი მოჭადრაკე, 30-50-იან წლებში რაიონისა და ქ. ოზურგეთის ათგზის ჩემპიონი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი გრიგოლ კალანდარიშვილი.

*სურათზე: ტურნირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი და მსაჯები. ზემოთ (რგოლში) — მ. ცენტერაძე. სხედან (მარცხნიდან) — რ. ღლონტი (მსაჯი), მ. დუნდუა, გრ. კალანდარიშვილი (მთ. მსაჯი), მ. ლომაძე, გ. ბაბილოძე; მეორე რიგში — ი. ღლონტი, ბ. ცეცხლაძე, ჟ. ურუშაძე, შ. ქიქაძე, ჯ. კეჭაყმაძე.*

კიკბოქსინგი

### თემურ ღლონტი – საქართველოს ჩემპიონი

თბილისში, გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტდარბაზში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსინგში, რომელშიაც 160 სპორტსმენი მონაწილეობდა (სამ ასაკობრივ ჯგუფში). ოზურგეთელთაგან საქართველოს ჩემპიონი გახდა თემურ ღლონტი (54 კგ წონითი კატეგორია).

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „ტრანსსერვისის" დირექცია აწყობს შესარჩევ კონკურსს ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისათვის შიდასარაიონო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

მსურველებმა უნდა მიმართონ „ტრანსსერვისის" დირექციას მისამართზე: ქ. ოზურგეთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 74. ტელ.6-37-21.

სს „ტრანსსერვისის" დირექცია.

## ყურადღება!

### ცოფი უაღრესად საშიში დაავადებაა

ცოფი უძველესი დროიდან ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე ვერაგი, მწვავე ინფექციური დაავადებაა. ცოფით შეიძლება დაავადდეს ყველა ცხოველი, განსაკუთრებით ძაღლები, კატები, მგლები, მელიები. იგი ადვილად ემართება აგრეთვე კურდღლებს, თაგვებსა და ვირთაგვებს.

მისი გამომწვევი არის ავადმყოფი ცხოველის ნერწყვში, თავისა და ზურგის ტვინში. ცოფი გადადის დაავადებული ცხოველის ნაკბენით, ან დასნებოვნებული ნერწყვის მოხვედრით ჭრილობაზე, თვალის, ცხვირის, პირის ღრუს ლორწოვან გარსზე.

განსაკუთრებით საშიშია ნაკბენი სახეზე, თავზე, კისერზე, ხელის მტევანზე.

რა გზითაც არ უნდა გადაედოს ცოფი ადამიანს, იგი სწრაფად ვრცელდება მთელ ორგანიზმში და, თუ მაშინვე არ იქნა მიღებული გამაფრთხილებელი ზომები, გარდაუვალია სიკვდილი.

ცხოველის მიერ დაკბენის ან დაკაწვრის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს და ზუსტად შევასრულოთ მისი ყველა მითითება.

დაკბენილი ცხოველი უნდა გავაცალკეოთ, დავაბათ და მასზე 10 დღის განმავლობაში დავაწესოთ ვეტერინარული მეთვალყურეობა.

ცოფის გავრცელების პირობების სათავეშივე აღსაკვეთად და დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა უპატრონო ძაღლების და კატების ლიკვიდაცია, შინაური ძაღლების მოვლა და ცოფის საწინააღმდეგოდ აცრა.

გახსოვდეთ!

ცოფით ავადდება ის, ვინც ცხოველებისაგან დაკბენის ან გაკაწვრის შემთხვევაში სასწრაფოდ არ მიმართავს ექიმს. შეუძლებელია ცოფისაგან განკურნება, როცა დაავადება დაწყებულია. მაშინვე ზომების მიღებითა და პროფილაქტიკური ღონისძიების გატარებით კი შესაძლებელია მისი თავიდან აცილება.

*ექიმი ეპიდემიოლოგი*
შუშანა ტრაპაიძე.
*საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.*

გაზ. „ალიონის" ღღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია

## გამოსათხოვარი

### ნინა ვასაძე



დიდად სამწუხარო, მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა ჩვენი ქალაქის საზოგადოებამ, — წავიდა სამუდამოდ ძვირფასი პიროვნება, შესანიშნავი ქართველი მანდილოსანი ნინა კალისტრატეს ასული ხომერიკი-ვასაძე.

იგი ქართველ ქალთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელშიაც კარგად არის შერწყმული საუკეთესო პიროვნული თვისებები, - გამოირჩეოდა თავისი სიმპათიური იერსახით, კეთილი ბუნებით, კულტურით, განათლებით, ესთეტურობით, აკურატულობით...

ქალბატონი ნინა სოფ. შრომაში დაიბადა. ცხოვრების დასაწყისი გაჭირვებაში გამოიარა, ნათესავ-ახლობლები ზრუნავდნენ მასზე, ბედისწერა და ობლის კვერი ჰქონდა, მაგრამ კარგად გამოცხვა, პედაგოგობა დაინათლა პროფესიად, მელექსეურისა და ლიხაურის სკოლებში მოღვაწეობდა.

ბატონ ვაშო ვასაძეს დაუკავშირა სამუდამოდ თავისი ბედი. დიდებული ოჯახი შექმნეს, სასახელოდ აღზარდეს სამი ვაჟიშვილი - დაავაჟკაცეს, ცხოვრების გამართულ, ღირსეულ გზაზე დააყენეს და იმათაც პირნათლად განაგრძეს ეს გზა, მშობლებისა და მშობლიური ქალაქის ჭეშმარიტად საამაყო შვილები არიან. ღირსეულ, დამსახურებულ მაღალი ავტორიტეტით, პირნათლად იცხოვრა ქალბატონმა ნინომ, როგორც ღირსეულმა მეუღლემ, დედამ, დედამთილმა, ბებიამ და დიდმა ბებიამ!.. მან, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე ვალმოხდილმა, მეუღლესთან, ვაჟიშვილებთან, სასიქადულო რძლებთან, 5 შვილიშვილთან და 8 შვილთაშვილთან ერთად უკანასკნელ გზაზე ღრმა მწუხარებით, მაგრამ, ამავე დროს დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით, მოიცილეს დიდძალი ხალხი.

რამდენი რამის თქმა, რამდენი ეპიზოდის სიყვარულით გახსენება შეიძლება მისი ცხოვრებიდან! ქალბატონი ნინა განიცდიდა ყველას ჭირისა და ლხინის გულწრფელად გამზიარებელი, თანადგომისათვის მუდამ მზადმყოფი. სამეზობლოსა და სამეგობროში სარგებლობდა რჩეული დიასახლისის სახელით. მის ხელგაშლილობასა და ხელმარჯვეობას ყველაფერი ამხდა მისი სიდარბაისლე, გამოცდილება, საზრიანობა და ხელი.

მასში ხელოვანის სული იდგა. უყვარდა მუსიკა, თეატრი, მხატვრობა. მეგობრობდა ქართველი ერის საამაყო შვილების — სახელოვანი მსახიობების, თეატრმცოდნეების, მხატვრების კრებულს — სესილია თაყაიშვილის, ნიტოლია ჩხეიძის, ნათელა ურუშაძის, ელენე ახვლედიანის და მრავალი სხვათ. ქალბატონი ნინასა და ბატონი ვაშოს სტუმართმოყვარე ოჯახი იყო ოზურგეთში გასტროლებზე თუ სხვა საქმეებზე ჩამოსული სახელოვანი სტუმრების უცვლელი და გულითადი მასპინძელი, მათთვის მუდამ ღია ჰქონდათ გულისა და სახლის კარები.

კიდევ რამდენი თბილი სიტყვის თქმა შეიძლება ქალბატონ ნინაზე, ამ დიდებულ ადამიანზე, რომელიც წრფელი გულით, დაუშურველად მხოლოდ სიკეთეს თესავდა ირგვლივ. სწორედ ამიტომ განიცადა საზოგადოებამ ასე განსაკუთრებულად ღრმა მწუხარებით მისი გარდაცვალება. უსაზღვრო წუხილითა და დანანებით ვეთხოვებით ყველანი.

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს მკერდზე დაყრილი მიწა, ქალბატონო ნინა, ნათელყოს უფალმა თქვენი სული აწ და მარადის.

**ნაზი ჩავლეიშვილი.**

## გახსენება

### ტატიანა ჩხაიძე



„წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება", - დაიჩივლებს ხოლმე ქართველი კაცი. ამ სიტყვებში დიდი სიბრძნეა ჩადებული. აქ გაისმის ერთი მხრივ წარმავალი, დაუნდობელი წუთისოფლის გმობა და, მეორე მხრივ, იმედი მომავლისა. ასეცაა, შთამომავლობა ჩვენს გაკვალულ ბილიკებს უნდა დაადგეს წრფელი გულით, პატიოსანი შემართებითა და უკეთესი მერმისისაკენ სწრაფვის სურვილით აღტყინებული.

ორმოცი დღის წინათ ამ წუთისოფლიდან ზეციურ სასუფეველში გავაცილეთ სოფელ შრომის საზოგადოებამ სახელგანთქმული მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე, რომელმაც 79 წელი იცხოვრა და, ავედით, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს მოანდომა. იგი 30 წლის მანძილზე ... საბჭოთა კავშირში ცნობილ სოციალისტური შრომის გმირთა რგოლს (5 გმირი ერთ რგოლში!).

1938 წელს ქალბატონი ტატიანა იყო იმ მიტინგის მონაწილე, რომელმაც შეიმუშავა უკრაინელი კოლმეურნეებისადმი პირველი წერილის ტექსტი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ საქართველოსა და უკრაინის ორი სოფლის, შემდეგ კი ორი რაიონის შეჯიბრებასა და სამაგალითო, გულწრფელ შემოქმედებით თანამეგობრობას.

გამრჯე მშრომელ ქალს 1947 წელს მიენიჭა შრომის გმირის წოდება. სხვადასხვა წლებში არჩეული იყო მაშინდელი სსრ კავშირის და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, სკკპ XXII ყრილობის დელეგატად. დაჯილდოებული იყო ლენინის 3, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, მიღებული ჰქონდა საკავშირო სახალხო მეურნეობის გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლები.

ქალბატონი ტატიანა ...

... შეხვედრიან, კეთილმოსილებად, დედოფლური იერის გამო თამარი შეარქვა მას და ლექსი მიუძღვნა, სათაურით „თამარდედა":

„...თუ შენა ხარ, მზეც ამოდის,
ხილი ისხამს, ჩიტი მღერის,
შენზე ლექსი თვით მოსკდება,
შენ თვითონ ხარ ნათლის ჩქერი!..."

ქალბატონი ტატიანას ... წლის წინათ ...

ნათელი შარავანდედი ... ქალბატონ ტატიანა ჩხაიძის სულს ... საუფლოში. ვინც პატივს სცემს ... მაზეს, კეთილშობილებას, სიკეთეს, შრომასა და ადამიანისათვის დასაფასებელ სხვა ღირსებებს, ყველას ემახსოვრება ქალბატონი ტატიანა ჩხაიძე.

**რომან ცეცხლაძე.**

### ვასო ევგენიძე



18 ივნისს ერთი წელი შესრულდა, რაც სამუდამოდ წახვედი ამქვეყნიდან, დაშორდი ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

ვასია, ვასიკო, ასე გეძახდნენ შენი მეგობრები. ნამდვილი, საამაყო და საიმედო ამხანაგი სწორედ გესმოდა კარგისა და ცუდის გაგება, მუდამ მზად იყავი ჭირისა და ლხინში ყველასათვის გაგეწია დახმარების ხელი. ხალისიანი კაცი იყავი, კარგი იუმორის მქონე, უხვად გჩვეოდა სახუმარო თქმები.

შენს დატოვებულ საქმეს ღირსეულად ასრულებს შენი კარგი მეუღლე, სიყვარულით ატარებენ შენს ხსოვნას შვილები, შვილიშვილები, სიძე, რძალი.

გიყვარდა მეგობრული შეხვედრების გამართვა, რისთვისაც საგანგებოდ გქონდა შერჩეული ერთი კუთხე. ახლა ამ ტრადიციას შენი განუყრელი მეგობარი ზაური განაგრძობს, ხშირად იყრიან თავს იქ და სადღეგრძელოებს ამბობენ, გიგონებენ.

ჩვენო ვასო, ადრე წახვედი ჩვენგან, — 2000 წლის დასაწყისში 65 წელი უნდა შეგსრულებოდა, - ახალ წელს იყავი დაბადებული და როგორ გიხაროდა ყოველი ახალი წლის მოსვლა, - ეს ხომ შენთვის ორმაგი ზეიმი იყო! დიდად დაგვწყვიტე გული, მაგრამ შენმა დაკარგვამ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა იმ ნათქვამის სიზუსტე, რომ ღმერთს ასე უნდოდა, წასაყვანად კარგებს არჩევსო.

კაცური კაცი იყავი და ასე დარჩები მუდამ ხსოვნაში. იყავი მშვიდად შენს მუდმივ სასუფეველში, გვჯერა, რომ ნათელშია შენი სული.

**უნივერმაღის თანამშრომლები.**

---

მეუღლე გაბრიელ, შვილები თენგიზ, ვასიკო, თემური, რძლები ნანი, ნანა, ინგა, ლელა, მაია, ირინა, შვილიშვილები თამრიკო, ნინო, კახა, დათო, ლევანი, შვილთაშვილები გიორგი, ირაკლი, ქეთი, ბექა, ნანო, ქეთევანი, თენგო, ნატალია, მზახალი ლოლა ორაგველიძე, ნათესავ-ახლობლები, მეგობრები იუწყებიან
ნინა კალისტეს ასული ხომერიკი-ვასაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი - 23 ივნისს, 5 ს. დაკრძალვა 24 ივნისს 4 ს. ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქუჩა № 1.

---

აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის გურიის რეგიონალური ორგანიზაცია და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს რწმუნებულთა აპარატი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთიდან დევნილი გაიოზ სიჭინავას მამის, აფხაზეთის ომის მონაწილის
აკაკი სიჭინავას
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 4 ივლისს ანასეულში.

---

გაზ. „ალიონის" რედაქციის მუშაკები თანაუგრძნობენ ვასაძეების ოჯახს ქალბატონი
ნინა ვასაძის გარდაცვალების გამო.

---

გულიკო, გიორგი თენიეშვილები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ვასაძეების ოჯახს ძვირფასი ადამიანის
ნინო კალისტეს ასული ვასაძის
გარდაცვალების გამო.

---

დალი, ესმა, მაია, თამაზ სალუქვაძეები, გურამ კომახიძე თანაუგრძნობენ ვასაძეების ოჯახს
ნინა ვასაძის გარდაცვალების გამო.

---

დაზუსტება

„ალიონის" 31 მაისის ნომერში (№13), მეორე გვერდზე, წერილის „ციტრუსოვანთა ნარგავების ახალი საკარანტინო მავნებელი" მეორე სვეტის დასაწყისში წერია: „...მატლი, მიაღწევს რა ფოთლის კიდეს, აკეთებს წვრილ ხვრელს და იქ დებს ჭუპრებს". წინადადება უნდა ბოლოვდებოდეს ასე: „და იქ იჭუპრებს" (ნაცვლად სიტყვებისა „იქ დებს ჭუპრებს").

რედაქტორი თამაზ სალუქვაძე

გაზეთი დააარსა და დააკაბადონა ვლადიმერ მეგრელაძემ.

დაიბეჭდა სს „ოზურგეთის სტამბაში" (დავით აღმაშენებლის ქ. № 146).

*რედაქციის მისამართი:*
*ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის 3*
☎ 6-33-66

ინდექსი 66564

6 თვით - 6 ლარი.

გამოიწერეთ, იკითხეთ თქვენი ძველი და ერთგული მეგობარი გაზეთი „ალიონი"!

12 თვით - 12 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩ ა ნ ა რ თ ი

## სახელმწიფო ქონების მართვის ოზურგეთის რაიონული სამმართველო აცხადებს

# კონკურსს

## სახელმწიფო ქონების პრივატიზებაზე

**ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ**

| ობიექტების დასახელება | წილი საწესდებო კაპიტალში (%) | ობიექტის სასტარტო ფასი (აშშ. დოლ.) | დაკავებული მიწის ფართობი (კვ.მ/ლარი) | თანხის დაფარვის ვადები | საკონკურსო პირობები |
|---|---|---|---|---|---|
| შპს „კლოტოიდა“ (იყიდება იყიდება 75% ფასდაკლებით) | 89 | 8263 | - | 51% იფარება მიმდ. წლის ბოლომდე, დარჩენილი 49%- მომავალი წლის ბოლომდე | 1. პროფილის შენარჩუნება სახელშეკრულებო პერიოდში 2. გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ღონისძიებების გატარება |
| ოზურგეთის № 18 საგზაო საექსპლოატაციო სამმართველოს ასფალტბეტონის ქარხანა (იყიდება 75% ფასდაკლებით) | 89 | 1818 | 500/166 | -“- | -“- |
| შპს „ურეკიციტრუსი“ (იყიდება 75% ფასდაკლებით) | 84,05 | 13792 | - | -“- | -“- |
| შპს „კაპიტელი“ (ყოფილი მე-8 საამშენებლო ტრესტი, იყიდება 50% ფასდაკლებით) | 100 | 6355 | - | 51% იფარება მიმდ. წლის ბოლომდე, დარჩენილი 49%- 2001 წლის ბოლომდე | -“- |
| შპს „მმკ –13“ (მოძრავ-მექანიზირებული კოლონა № 13, იყიდება 50% ფასდაკლებით) | 100 | 4545 | - | -“- | -“- |
| შპს “ოზურგეთის საგზაო სამმართველო“ (იყიდება 75% ფასდაკლებით) | 100 | 12297 | 8855/2938 | 51% იფარება მიმდ. წლის ბოლომდე, დარჩენილი 49%- 2001 წლის ბოლომდე | -“- |
| შპს „ოზურგეთის საგზაო საექსპლოატაციო სამმართველო № 18“ (იყიდება 75 % ფასდაკლებით) | 100 | 12081 | 8722/5889 | -“- | -“- |
| ყოფილი სს „ქიმკომბინატის“ ობიექტები<br>- წყლის სატუმბი სადგური<br>- ელ გადამცემი ხაზები | <br><br>100<br>100 | <br><br>575<br>675 | 530/958<br>- | 51% გაყიდვიდან ერთ თვეში, 49% ამა წლის ბოლომდე | 1. პროფილის შენარჩუნება 5 წლის განმავლობაში 2. გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ღონისძიებების გატარება |
| ქორეოგრაფიული სტუდიის შენობა, (იყიდება 75% ფასდაკლებით) | 100 | 795 | 306/406 | თანხა იფარება 2000 წლის 25 დეკემბრამდე | 1. პროფილის შენარჩუნება 5 წლის განმავლობაში 2. გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ღონისძიებების გატარება |
| კონცერნ „საქკურორტის“ ურეკის პანსიონატის დაუმთავრებელი შენობა (იყიდება 75% ფასდაკლებით) | 100 | 3050 | 20000/18500 | 51 % იფარება გაყიდვიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო 49% 6 თვის განმავლობაში | 1. ობიექტის დამთავრება და ექსპლუატაციაში გაშვება 2 წლის ვადაში. 2. გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ღონისძიებების გატარება |

### კონკურსის ჩატარების პირობები

სახელმწიფო ქონების მყიდველი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც სახელმწიფო ორგანოების ხვედრითი წილი 25%-ზე ნაკლებია.

კონკურსში გამარჯვების მისაღწევად საჭიროა საკონკურსე პირობების დაკმაყოფილება და მაქსიმალური თანხის გადახდა.

საკონკურსო პირობების შეუსრულებლობის პირველ შემთხვევაში მყიდველი ჯარიმდება ობიექტის საბოლოო საპრივატიზაციო ფასის 10%-ის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს კანონის დადგენილი წესით მოითხოვოს კონკურსის შედეგების გაუქმება.

განმცხადებელმა კონკურსში მონაწილეობის სტატუსის მისაღებად უნდა წარმოადგინოს:

1. განაცხადი.
2. საპრივატიზაციო ობიექტის ღირებულების 10% ბეს გადახდის ქვითარი. (თანხა ირიცხება სახელმწიფო ქონების მართვის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს ანგარიშზე „საქართველოს ბანკის“ ოზურგეთის ფილიალში, ანგარიშის № 000142201, მფო 220101534).
3. მისაგებლის გადახდის ქვითარი (თანხა ირიცხება რაიფინგანის ანგარიშზე აგრობანკში, ანგარიშის № 000130701, მფო 220108460).
4. პასპორტი.
5. წესდება (წარმოადგენენ მხოლოდ იურიდიული პირები).

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში 2000 წლის 24 ივლისს.
განცხადებების მიღება იწყება ინფორმაციის გამოქვეყნების დღეს და მთავრდება 2000 წლის 21 ივლისს.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 1, ☎ 877-41-97-04; 877-41-58-74

**სახელმწიფო ქონების მართვის ოზურგეთის რაიონული სამმართველო**

## სახელმწიფო ქონების მართვის ოზურგეთის რაიონული სამმართველო აცხადებს

# აუქციონს

## სახელმწიფო ქონების პრივატიზებაზე

რომელიც გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში (მ. კოსტავას ქუჩა № 1) 2000 წლის 25 ივლისს, დღის 12 საათზე.
განცხადებების მიღება იწყება ინფორმაციის გამოქვეყნების დღეს და მთავრდება 2000 წლის 24 ივლისს. დღის 5 საათზე.

**ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ**

| ობიექტების დასახელება | წილი საწესდებო კაპიტალში (%) | ობიექტის სასტარტო ფასი (+ ბიჯი) (5%) (აშშ. დოლ.) | დაკავებული მიწის ფართობი (კვ.მ/ლარი) | თანხის დაფარვის ვადები |
|---|---|---|---|---|
| ყოფილი ურეკის სანერგე მეურნეობის ობიექტები<br>- სასადილო (იყიდება 75% ფასდაკლებით)<br>- საცხოვრებელი ორსართულიანი სახლი | <br><br>100<br>100 | <br><br>729+37<br>1460+73 | <br><br>1000/904<br>1000/1809 | თანხა იფარება აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში |
| სპორტული დარბაზი დაბა ლაითურში | 100 | 1902+95 | 805/5039 | -“- |
| არასაცხოვრებელი კომუნალური ფართი (აკაკის ქუჩა № 25) | 100 | 4460+223 | 300/478 | -“- |
| ყოფილი ქალაქვაჭრობის მაღაზია № 82 (მდებარე სანაპიროს ქუჩაზე, იყიდება 75% ფასდაკლებით) | 100 | 33+2 | 182/122 | -“- |
| სამაცივრე საკანი, მდებარე სასტუმრო გურიის მიმდებარე ტერიტორიაზე | 100 | 142+7 | 100/160 | -“- |
| სასადილო № 22 მდებარე იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე | 100 | 211+11 | 200/319 | -“- |
| შპს ავტოკოლონა 2685-ის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა “მმზ“ 5431 (იყიდება 75% ფასდაკლებით) | | 141+7 | | -“- |
| ოზურგეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანები (იყიდება 75% ფასდაკლებით)<br>- მაზ 551<br>- მაზ 54331 | | <br><br><br>175+9<br>205+11 | | -“- |

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ობიექტების დასახელება | წილი საწესდებო კაპიტალში (%) | ობიექტების საწყისი ფასი (+ბიჯი) (5%) (აშშ. დოლ.) | დაკავებული მიწის ფართობი (კვ.მ/ლარი) | თანხის დაფარვის ვადები |
|---|---|---|---|---|
| ყოფილი ურეკის სანერგე მეურნეობის ქონება *მათ შორის:* | | | | თანხა იფარება აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში |
| – სათბური 2 ერთეული | – | 1471 | 2000 | |
| – სასოფლო-სამეურნეო ფარდული | – | 138 | 243 | |
| – სადურგლო სახელოსნო | – | 126 | 105 | |
| – სახანძრო დეპო | – | 63 | 80 | |
| – საერთო დანიშნულების საწყობი | – | 87 | 77 | |
| – ნავთობპროდუქტების საწყობი | – | 142 | 50 | |
| სოფ. ჭანიეთის ყოფილი თავდაცვის სამინისტროს ზურგის შტაბის დაქვემდებარებაში არსებული სასაწყობო მეურნეობის №1 საწყობის შენობა | | 3405 | 848 / 590 | -"- |

დაწერილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა №1, ტ. 877-41-97–04, 877-41-58-74.
სახელმწიფო ქონების მართვის რაიონული სამმართველო.

## სახელმწიფო ქონების მართვის ოზურგეთის რაიონული სამმართველო აცხადებს აუქციონს ნულოვანი საწყისი ფასით სახელმწიფო ქონების პრივატიზებაზე

რომელიც გაიმართება ოზურგეთის რაიონის გამგეობის სააქტო დარბაზში (მ. კოსტავას ქ. №1) 2000 წლის 26 ივლისს, დღის 13 სთ-ზე.
აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტები.

**ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ:**

| ობიექტების დასახელება | ადგილმდებარეობა | ბეს სიდიდე 10% (აშშ დოლარი) | ბიჯის სიდიდე 5% (აშშ დოლარი) | დაკავებული მიწის | | კრედიტორული დავალიანება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფართობი (კვ. მ.) | ღირებულება (აშშ დოლარი) | |
| 1. შპს „ასკანელი" | ქ. ოზურგეთი, ჩოხატაურის ქ. №20 | 17820 | 8920 | 700 | 1125 | 1136 |
| 2. პურის მექანიზებული საწყობი | ქ. ოზურგეთი, გურამიშვილის ქ. №6 | 3018 | 1509 | 1000 | 1596 | – |
| 3. სსგ „ისარის" კოლხეთის ცენტრის დაუმთავრებელი მშენებლობა | სოფ. ნატანები | 25020 | 12510 | 125000 | 227276 | – |

განცხადებების მიღება იწყება ინფორმაციის გამოქვეყნების დღეს და მთავრდება ა. წ. 24 ივლისს.
დაწერილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა №1, ტ. 877-41-97-04, 877-41-58-74.
სახელმწიფო ქონების მართვის რაიონული სამმართველო.